

სარგბიელი

პროცენტი
ნიშნითა

საორტული გაზეთი

ოთხშაბათი 1 ნოემბერი 2000 №211 (1233)

ფასი 50 თეთრი


113

ზურაბს რეული მოუვლის


არსენ ვენბერმა ზურაბ ხიზანიშვილი ლონდონის „არსენალის“ მთავარ სკაუტს სტივ რეულს ჩააბარა

ლონდონის „არსენალში“ კვირანახევარს მოვარჯიშე 19 წლის ზურაბ ხიზანიშვილი ზევ დილით თბილისში ჩამოფრინდება. ამ ათ დღეში, რაც თბილისის „ლოკომოტივის“ მცველი ინგლისშია, ერთხელაც ვერ მოხერხდება მეთოფეთა სარეზერვო გუნდში მისი თამაში და საქმეში ნახვია. წინა თრშაბათს ნამზავარი და ლონდონს ახალჩასული ხიზანიშვილი „ჩელსის“ სათადარიგოების წინააღმდეგ შეგნებულად არ ათამაშეს, გუშინწინ კი სამხრეთ ინგლისის თავსდატეხილმა ქარიშხალმა არამხოლოდ მისი, სულაც „არსენალ“ — „საუთჰემპტონის“ მატჩი ვადადო. და აი, ქართველი მცველი ასე უთამაშებლად ბრუნდება თბილისში. ნიშნავს თუ არა ეს, რომ „არსენალში“ ხიზანიშვილის ტრანსფერი ჩაიშალა?

იხილეთ მეორე გვერდი



გაბრიელ კატილაძის ფოტო



მოდიის მიდასი

ძველად: მეფე მიდასი ღმერთმა იმით დასაჯა, რასაც ხელს შეახებდა, თქონდა აქცევედა. გუშინ ინგლისში: მიდასი მოდის, მიდასი! გუშინ შვედეთში: გაუმარჯოს შვედს მსოფლიოში ყველაზე უმაღურ თანამდებობაზე! გუშინ იტალიაში: წავიდეს, ოღონდ ჩემპიონთა თასი დაგვიტოვოს, თქვა „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯო კრანოტიმ. 2001 წლის 1 ივლისს ინგლისის ნაკრების მწვრთნელი 52 წლის სვენ გორან ერიქსონი ვახდება. 5 წლის განმავლობაში შვედი 9 მილიონ გირვანქას მიიღებს. დასჯილია თუ ყოვლისშემძლე?

იხილეთ მეექვსე გვერდი

**მწვარე
ხიზანიშვილი**
სტამბოლიდან

თურქეთში ყავა აკრძალეს

საჭადრაკო ოლიმპიადების პარტიები დღის სამ საათზე იწყება და რეგლამენტით 7-საათიანი პაუზის შემდეგ ღამის ათ საათზე მთავრდება. თბილისში ამ დროს შუაღამეა. დაფები გაშლილია ახალაშენებული საგამოფენო ცენტრის (იგივე კონგრეს პოლის) ეგრეთ წოდებულ ნულოვან სართულზე, სადაც ჭადრაკს ერთდროულად 750-ზე მეტი კაცი თამაშობს (ისე, ოლიმპიადებში სულ 768 კაცი და 340 ქალი მონაწილეობს). ასე რომ, RUMELI HALL-ში 6-7 საათის განმავლობაში დაახლოებით 2000 კაცამდე ტრიალებს და მძლავრი კონდიციონერების მიუხედავად, სუნთქვა მინც განულებულია. არ ვიცი, რისი ბრალი იყო, მაგრამ შესაძლოა ტურის მსვლელობისას ბელგიის გუნდის კაპიტანს გულიც კი შეუწყუნდა და კარგა ხანს ასულიერებდნენ.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

NBA იწყებს, სტეფანია კი პერა



გაბრიელ კატილაძის ფოტო

რეპტორზიდანაც დათხოვნილი ქართველი კალათბურთელი ჩემპიონატს უზუნდოდ ხვდება

ვლადიმერ სტეფანია მხოლოდ ხუთი დღე იყო „ტორონტო რეპტორზის“ წევრი — გუშინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე კანადურმა კლუბმა იგი დაითხოვა. ეს ამბავი მაშინ გაცხადდა, როცა „ტორონტომ“ ჩემპიონატში სამონაწილეო 12-კაციანი განაცხადი და დაშავებულთა სია გამოაქვეყნა. სტეფანიას ვვარს ვერც ერთში ამოიკითხავდით. ეს ნიშნავს, რომ ქართველი კალათბურთელი უგუნდოდაა, პირველად ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ვადასვლის შემდეგ. გამოირიცხული არაა, მისით რომელიმე სხვა გუნდი დაინტერესდეს და, შესაძლოა, ეს ამ დღეებშიც მოხდეს. მანამდე კი... დღეს, ჩვენი გათენიისას, პლანეტის უძლიერესი საკალათბურთო ლიგის 55-ე ჩემპიონატი დაიწყო.

ჩემპიონატისწინა მიმოხილვა იხილეთ მეთორმეტე გვერდზე

ზენ დაუპყარ, დიაბო!

პელე და მარადონა: სიკულვილი და კაცთმოყვარეობა

პო, პო, რა შეუბერა! გუშინ 40 წლის ვახდა და ეს ამბავი ბუენოს აირესის ერთ-ერთ დისკოთეკაში დიდი ტაშფანდურით აღნიშნა. ზვალ პაბმელიაზე გამოვა, ზევ კი მწვრთნელობას დაიწყებს. ყველაფერს ასწრებს დიეგო არმანდო მარადონა, წიგნის წერასაც კი. პოდა, ზვალინდელ „სარბიელში“ იმაზე მოვიტხოვრებთ, თუ როგორ ამხილა მარადონამ პელე მამათმავლობაში და საპასუხოდ როგორ გაუხსენეს პელეს მეგობრებმა კანიჯასთან კოცნაობა.



REUTERS ბუენოს აირესიდან

ზურაბს როული მოუვლის

ვენეპერმა
ხიზანიშვილი
არსენალის მთავარ
სპაუტს ჩააბარა



სტივ როული

დისაწყისი ბირველ გვერდზე

— არა, ვერ არაფერი გადაწყვეტილა. ბრიტანეთის სამეფოში ასეთი წესია — კლუბს მოსწონხარ თუ არა, შინ უნდა დაგაბრუნოს, იქაურ დასაქმების დეპარტამენტში საქმე მოავგაროს და კონტრაქტის გასაფორმებლად ამის შემდეგ დაიხმოს. ზურას ცოტა ხნის წინ ტელეფონით ველაპარაკე, მაგრამ ზოგ რამეში ბოლომდე მინც ვერ გამარკვია და დანამდვილებით ბევრის თქმაც არ შემოიქცია.

მისგან საიმედო მხოლოდ ის შევიტყუე, რომ 12 ნოემბერს რუსთავეს „გორდა“ — „ლოკომოტივის“ მატჩს „არსენალის“ წარმომადგენელი სტივ როული დაესწრება. არსენ ვენგერს უთქვამს, ხიზანიშვილს კიდევ ერთხელ ეს კაცი დააკვირდება და თავადვე გადა-

ბერმანიასში ბულგარელთან

ორი დღის წინ ორი ვიტჯორჯიელი, ნახევარმცველი ირაკლი ხაჭაპურიძე და თავდამსხმელი გიორგი ქორიძე გერმანიასში გაემგზავრნენ. ჩვენებურები იქ ორ კვირას დაჰყოფენ და ჩრდილოეთ რეგიონალური ლიგის 20-ე რაუნდში „ზაქსენში“ ივარჯიშებენ.



გიტელი გიორგი ქორიძე

წყვეტს, ავიყვანოთ ქართველი მცველი თუ არაო — გვიპასუხა გუშინ ზურაბის მამამ, ნოდარ ხიზანიშვილმა, რომელიც ცოტა გაკვირვებულიც იყო, ასეთ მატჩში ან კი რა უნდა დინაზონ ისეთი, რაც აქამდე ვერ შეინახეს.

41 წლის სტივ როული „არსენალის“ მთავარი სკაუტია და მართალია, ლონდონურ კლუბში 1980 წლიდანაა, ამ თანამდებობაზე 1996 წლის ოქტომბრიდან მუშაობს. ეს სწორედ ის პერიოდია, რაც „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი ფრანგი არსენ ვენგერია. როული ამ ოთხ წელიწადში არაერთი საფეხბურთო ტალანტი მოიძია „არსენალისთვის“ მთელს მსოფლიოში, მაგალითად ბრაზილიელი სილვინიო.

იმედია, მათ რიცხვს ქართველი ზურაბ ხიზანიშვილიც შეემატება.

მასტანო ზინიძემ

დემეტრემ ბაღარმა და დინამოში ღარმა

პიემპში უკრაინული ფეხბურთის კრიზისზე ალაპარაკდნენ. „ანდერლეხტთან“ და „ეინდჰოვენთან“ „დინამოს“ მარცხმა შოკში ჩააგდო იქაური გულშემატკივრები. ასეთ დროს კი რაც ხდება, თავადაც კარგად მოგეხსენებათ. გავრცელდა არაოფიციალური ინფორმაცია, რომლის თანახმად „დინამო“ თითქოს ნახევარი გუნდის ტრანსფერზე დაყენებას, ხოლო ლობანოვსკი გუნდიდან წასვლას აპირებდა. ამასთან დაკავშირებით ლობანოვსკიმ საჭიროდ ცნო პრესკონფერენციის მოწვევა, სადაც განაცხადა, რომ მსგავს ხმებს პროვოკაციის სუნი უდის, „არსადაც არ მივიღივარ, გუნდში ვრჩები და მუშაობას ვაგრძელებ“ — თქვა მან.

გავრცელებული ხმების თანახმად (ამ ინფორმაციის სისწორეში ჩვენს უკრაინელ კოლეგებს აღნიშნულ პრესკონფერენციამდე ეჭვიც არ ეპარებოდათ), პირველ ყოვლისა, ვისაც „დინამო“ დაითხოვდა, დემეტრადე მატკიბი იქნებოდნენ.

გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე ლობანოვსკიმ ამაზეც ისაუბრა:

„მატკიბი აზიის თასზე თამაშით გადაღლილია და მისი მესმის. რაც შეეხება დემეტრადეს, ის ერთობ საეჭიფიკური ხასიათის მოთამაშეა. როდესაც ის „დინამოში“ მოვიყვანეთ, მხოლოდ სხვათაგან პასების მიღებას იყო მიჩვეული. მან უნდა გააცნობიეროს, რომ თავადაც მოვალეა, თანაგუნდელები პასებით მოამარაგოს. მოკლედ, თავდაუზოგავად ვშრომობთ, რომ დემეტრადე ამ ფაქტორს შევაგუოთ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ იგი ვერაფერობით ვერ ზღვდება, თუ რა უნდათ მისგან. ამის გათვალისწინებით დემეტრადის კრიტიკა სამართლიანი იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველ ფეხბურთელს ხელაღებით შეველიოთ. მას ფორვარდისთვის საჭირო ბევრი კარგი თვისება აქვს, ამიტომაც გუნდში დარჩება“.

ლობანოვსკის სიტყვის ფასი ბევრს კარგად მოეხსენება, ასე რომ, გიორგი დემეტრადე კვლავაც დინამოელია.



ბაბა კვანტალიანი

ო, ოპიადო!

ბუშინ ესპანეთში გაემგზავრა საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები. პირველიდან შვიდ ნოემბრამდე ოვიელო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს მასპინძლობს. ქართველთა გარდა ქვეჯგუფში ესპანელები და იუგოსლავიელები ითამაშებენ. სამეულში საუკეთესო კი გაისადრუსეთში, მინი-ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

საქართველოს ნაკრები ესპანელებთან და იუგოსლავიელებთან ქვეჯგუფის მატჩებს ორ და ხუთ ნოემბერს გამართავს.

შარშან ქართველ დარბაზის მობურთალებს სფფ-ის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თავაკაც ლევან ყფიანი წვრთნიდა. იგი მოუცულოდობის გამო გუნდს ესპანეთში ვერ გააყვია და ოვიელოში მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს გურამ დურგლიშვილი შეითავსებს (იგი საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტიცაა).

ნაკრები ძირითადად ლეგიონერთა ბაზაზე ჩამოყალიბებული. ჩიტალაძე, ძაბირაძე, კბილაძე, სარქისიანი, ზოიძე და მიზანდარი რუსეთის და უკრაინის მინი-ფეხბურთის სხვადასხვა კლუბებში თამაშობენ. ნაკრებს თან ახლავს მისი უცვლელი წევრი დავით სოლოლაშვილიც. ამ მიზეზით იგი თავის კლუბს, ბონისის „სიონს“ მეცამეტე ტურში „ტორპედოს“ წინააღმდეგ შეხვედრაში ვერ შეეკვლება.

საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები ოვიელოში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ჩიტალაძე, ზაქაძე, სოლოლაშვილი, ძაბირაძე, კბილაძე, სარქისიანი, ზოიძე, მიზანდარი, ზამბახიძე, ალთუნაშვილი, ბაბუნაშვილი, ალექსიძე.

გუნდის გაწვრთნაში გურამ დურგლიშვილს გენადი ლუცენკოც დაეხმარება.

ირაკლი მიტანძე

ჯთ მოზილური და 35-ე მოზურთალი

ამ ბოლო დროს თბილისის საფეხბურთო სკოლები ღამაზდება და მშენდება. მამინ რაღა გასაკვირია, მათგან ერთ-ერთმა სახელიანმა, 35-ე საფეხბურთო სკოლამ წინსვლისა და სიასლისკენ გადადგას ნაბიჯი.



სკოლის დირექტორი ანდრო თურქია მოსწავლეებს აჯილდოვებს

გერმანია

თასის მფლობელი ეტაპი

ვეიცი — დორტმუნდი 0:1 (დდ); კარლსრუე (მოდგ) — მამბურგი 0:1 ალემანია — ლევერკუზენი 1:2 არმინია — ბოხუმ 0:1 ფრაიბურგი — ვერდერი 1:0 ნიურნბერგი — ბაიერი 4:0

სოტლანდია

ლიგის თასის მფლობელი

კილმარნოკი — პიტრიანდი 2:1 რინჯერსი — დანდი იუნაიტედი 2:0 სენტ მირენი — დანდი რმლიანი 2:1

ჰოლანდია

თასის მფლობელი ეტაპი

ვერლი — ოსი 3:2 პერაკლევი — კამბური 3:2

ინგლისი

I დივიზიონი

ბარნი — ქროი 1:0 ბოლტონი — ქუინზ პარკ 3:1

II დივიზიონი

სოლისი — ბრისტოლი 2:2 სუინდონი — კემროვი 3:1

ლიგის თასის მფლობელი ეტაპი

როვერსი — სანდერლენდი 1:2 ტოტენჰემი — ბირმინგემი 3:3 ტრანშერი — ლიფი 3:2 (დდ) უოტფორდი — მანჩესტერი 0:1 ვესტ ჰემი — ბლექბერნი 2:0 უობლდონი — მიდლსბრო 1:0

ესპანეთი

VIII ტური

დეპორტივო 4:0 ღას პალმასი 1:0, 2:0, 3:0 ტრიტიანი (31, 47, 58), 4:0 მავი (79)

რა ხდება კიევიში?

კიევის „დინამო“, როგორც იქნა, ჩემპიონთა ლიგის კომპარტიდან გამოეხიზა და უკრაინის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში მარიოპოლის „მეტალურგი“ 2:0 დაამარცხა.

ვალერი ლობანოსკიმ თავისი გუნდი გადახალისებული შემადგენლობით გაიყვანა. მინდორზე, რაც ჩვენი უკრაინელი კოლეგების ვარაუდით, აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი სახეა. დაცვის ცენტრში დაშვებული ვაშჩუკისა და კაპიტან გოლოვკოს ნაცვლად, უშეცდომოდ უთამაშიათ კახა კალაძესა და რუს გერასიმენკოს. საინტერესოა, რომ გოლოვკო ბოლო ორი წლის მანძილზე პირველად ივდა სათადარიგოთა სკამზე.

კიეველთა მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ თქვა: „ბოლო დროს ახალგაზრდებს ნაკლებად ვენდობოდით და შესაძლოა, პრობლემებიც ამიტომ შეგვექმნა. გამორიცხული არაა, მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი შემადგენლობაში ვერ მოხვდეს.“

აი, ასეთი დაძაბული სიტუაციაა გუნდში. თუმცა, „მეტალურგთან“ შეხვედრაში, ბოლოდროინდელი კრიტიკის მიუხედავად, გიორგი დემეტრაძე მაინც სასტარტოში იყო. თამაშის დასაწყისშივე მას ორი ხელსაყრელი მომენტი შეუქმნია, მაგრამ მეკარე შუხოვეცს უმარჯვია.

გოლები პირველივე ტაიმში ხაცკევიჩმა და ბელკევიჩმა გაიტანეს. მწვრთნელებმაც დემეტრაძე მეორე ნახევარში ნესმანით შეცვალეს.

რაც უნდა იყოს, დემეტრაძეს უკრაინის ჩემპიონატში შვიდი გოლი აქვს გატანილი და კრივბასელ გეტკოსთან ერთად, ბომბარდირთა დავაში მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. პირველზე კი თეთრბეტი გოლით შანტიორელი ვორობია.

უკრაინაში ამჯერად ტავრიელმა ვასილ გიგიაძემ გამოიჩინა თავი. „დინამოსთან“ საშინაო მატჩში სტუმრები პირველი ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ. მერე „ტავრია“ გონს მოვიდა და ბევრსაც უტევედა, მაგრამ გოლი არ გადიოდა. დამთავრებას თერთმეტი წუთი უკლდა, როცა გიგიაძემ „დინამოს“ საჯარიმოში შეიჭრა და მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა. ამგ-

ვარად გადაარჩინა „ტავრია“ ქულა. ციურიხში ერთმანეთს შევიცარიელი ქართველები შეხვდნენ. ჯამარაულისა და ყაველაშვილის „ციურიხმა“ ზომერიკის „არაუს“ 1:0 მოუგო. პირველად თავის გამოჩენა ზომერიკს შეემდო, მაგრამ ბურთი ტელს გაარტყა. დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი ჯამარაულის კუთხურს შასოს თავური და გამარჯვების გოლი მოჰყვა. ისიც სათქმელია, რომ მეორე ტაიმის დასაწყისიდან სტუმრები მინდორზე კაცნაკლულნი დარჩნენ.

ქართველთა შესვენდა, შესაძლოა, ჰოლანდიაშიც მომხდარიყო, მაგრამ გოგა ვახოკიძე, ჯერჯერობით „ეინდჰოვენის“ ძირითადში ვერ ხვდება. ტრავმამოშუშებული შოთა არველაძე კი „აიაქს“ დაუბრუნდა. პირველად შოთამ გასულ ხუთშაბათს, შევიცარიულ „ლოზანასთან“ უეფას თასის მატჩში ითამაშა. ამჯერად კი ვან დერ ვაარტი შეცვალა და მინდორზე 25 წუთით დაჰყო. „აიაქსმა“ ბოლო დროს ცენტა გამოასწორა თამაში. მათ მწვრთნელს, კო აღრიანსეს სჯერა, რომ დაკარგული ჯერ არაფერია და ჩემპიონობისთვის ბრძოლაც შეიძლება. ამას „ეინდჰოვენთან“ ჩატარებული მატჩიც ადასტურებს. „აიაქსი“ ბერძენი მასლასის გოლით ადრევე დაწინაურდა და მასპინძელმა ბრუგინკმა მხოლოდ დამთავრებამდე თერთმეტი წუთით ადრე პენალტით გაათანაბრა.

შოთას ტყუპისცალის, არჩილის არყოფნაში მისმა „კიოლნმა“ გერმანული ბუნდესლიგის მეათე ტურში შინ „შტუტგარტს“ 3:2 მოუგო და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა. ჩვენებურთა „ფრაიბურგმა“ კი ფრანკფურტში „აინტრახტთან“ 0:3 წააგო. ალექსანდრე იაშვილს, მოგეხსენებათ, მამა გარდაეცვალა და თბილისშია, ცქიტიშვილმა და კობიაშვილმა კი შეუცვლელად ითამაშეს.

ახლა ჩვენს ინგლისელებზეც ვთქვათ. ალექსიძის „ჩელსი“ ნელ-ნელა ზემოთ მიდის, ჩვენებურის პრემიერლიგური დებიუტი კი კვლავ გადაიდო.

ვულველმა ქეცბაიამ „უოტფორდთან“ საშინაო მატჩში (2:2) ჩვეულად, სტაბილურად ითამაშა.

ქინქლაძის „დერბი“ კი...
სკლოტონ გულსაფხვილი



შევიცარიულ ქართველთა ღერბის ერთადერთი გოლი გოჩა ჯამარაულის კუთხურს მოჰყვა

სახელი გვარი	გუნდი	სად მეტოქე	წი	შენიშვნა
გერმანია				
ბუნდესლიგა				
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს აინტრახტი 0:3	9	გამოტოვა ოჯახური მდგ. გამო
ლევან კობიაშვილი	ფრაიბურგი	ს აინტრახტი 0:3	90	
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	ს აინტრახტი 0:3	90	
არჩილ არველაძე	კიოლნი	შ შტუტგარტი 3:2	0	ტრავმირებულია
მეორე ბუნდესლიგა				
მიხეილ საჯავია	როიტილინგენი	შ არმინია 3:2	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა
ინგლისი				
პრემიერლიგა				
გიორგი ქინქლაძე	დერბი	ს ლესტერი 1:2	8	შეცვლაზე ითამაშა
რატი ალექსიძე	ჩელსი	შ ტოტენჰემი 3:0	0	სარეზერვო გუნდშია
პირველი დივიზიონი				
თემურ ქეცბაია	ვულვზი	შ უოტფორდი 2:2	90	
შოტლანდია				
პრემიერლიგა				
გიორგი ნემსაძე	დანდი	ს დანფერმლინი 0:1	90	
პოლანდია				
უმაღლესი ლიგა				
შოთა არველაძე	აიაქსი	ს პსე ეინდჰოვენი 1:1	25	შეცვლაზე ითამაშა
გოგა ვახოკიძე	პსე ეინდჰოვენი	შ აიაქსი 1:1	0	
ბელგია				
უმაღლესი ლიგა				
გელა შეყილაძე	ლიერსი	შ მუსკრონი 1:4	0	
ლამა ჯაკობია	აალსტი	ს შარლბუკე 4:2	0	ტრავმირებულია
უკრაინა				
უმაღლესი დივიზიონი				
გოჩა ჯამარაული	ციურიხი	შ არაუ 1:0	90	საგოლე პასი
მიხეილ ყაველაშვილი	ციურიხი	შ არაუ 1:0	89	შეცვალეს
ლევან ზომერიკი	არაუ	ს ციურიხი 0:1	80	შეცვალეს
რუსეთი				
უმაღლესი ლიგა				
ოთარ ხიზანიშვილი	სპარტაკი	ს ზენიტი 2:1	0	
პირველი ლიგა				
მიხეილ ჯიშკარიანი	ტორპედო ზილი	ტური გამოტოვა		
გოჩა გოგრიჭიანი	ყემურენა	შ ამკარი 0:1	90	
გიზო ჯვალაძე	ბალტიკა	ს ნოსტა 1:1	0	
ზვიად ჯვალაძე	კრისტალი	შ მ. ლიბეცი 2:1	88	გააძევეს
ბახვა ამბიძე	ვოლგარი	ს მეტალურგი 0:1	0	
თასის მერვედფინალი				
ზაზა ჯანაშია	ლოკომოტივი	შ გაზ-გაზი 5:0	45	შეცვლაზე ითამაშა
დავით გვარამაძე	კრილია	შ მეტალურგი 3:0	0	სათადარიგო
უკრაინა				
უმაღლესი ლიგა				
კახა კალაძე	დინამო	შ მარიუპოლი 2:0	90	5 0 2
გიორგი დემეტრაძე	დინამო	შ მარიუპოლი 2:0	45	შეცვალეს
ალექსანდრე კაიდარაშვილი	კრივბასი	ს ზაპოროჟიე 2:2	0	სათადარიგო
გოჩა ტრაპაიძე	ტავრია	შ დნიპრო 1:1	90	
ვასილ გიგიაძე	ტავრია	შ დნიპრო 1:1	90	1 გოლი
ავთანდილ კაპანაძე	ნივა	ს ცსკა 1:3	90	
ტარიელ კაპანაძე	ნივა	ს ცსკა 1:3	90	
კახა დგებუაძე	ნივა	ს ცსკა 1:3	51	შეცვალეს
შოთა ჩომახიძე	ნივა	ს ცსკა 1:3	0	
ავთანდილ გვიანიძე	ნივა	ს ცსკა 1:3	90	
ავთანდილ სიხარულიძე	ნივა	ს ცსკა 1:3	0	
პოლონია				
უმაღლესი ლიგა				
მამია ჯიქია	რუხი	შ ლეგია 1:4	45	შეცვლაზე ითამაშა
აზერბაიჯანი				
უმაღლესი ლიგა				
კახაბერ ძევისაშვილი	ხაზარი	ს შახდაგი 2:0	90	2 გოლი
	ხაზარი	შ ნეფთჩი 1:4	90	
გიორგი თვალბეიშვილი	ხაზარი	ს შახდაგი 2:0	90	
	ხაზარი	შ ნეფთჩი 1:4	45	შეცვალეს

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში





„გორდას“ და „დინამოს“ მცველები რევაზ ქემოკლიძე (№2), ალექსანდრე ბურნაძე, ლაშა სილაგაძე და ირაყლი ვაშაყიძე (№3)

პროფესიული ფეხბურთი

მწვინელები მწვინელებისა იმის

პირველი წრის ბოლო ტურმა გათამაშების ცხრილში ყველას დამსახურებისამებრ მიუჩინა ადგილი. ახალი არაფერია, ექვსეულში იმ გუნდებს ვხვდებით, რომლებსაც ეროვნულ ჩემპიონატებში პატივი, სახელი და დიდება არ მოკლებიათ. მართალია, სიურპრიზის შემთავაზება თსუ-ს, „სიონს“ და „მერანსაც“ ძალუძთ, მაგრამ ჩვენი აზრით, მეორე წრის ბოლოსაც ამაყმინდელი ექვსეული გააგრძელებს ბრძოლას საპრიზო ადგილებისთვის.

იყო, ტრიბუნდანვე გატყორცნა კოლეგისკენ. არველაძემ ერთი ღერი ამოიღო და როცა დააპირა, კოლოფი კარნევალისთვის დაებრუნებინა, იტალიელმა ანიშნა, შენ უფრო გამოგადგებაო. მერე „დინამომ“ ერთი გაიტანა, მონაპოვარს მეორეც მიემატა და თითქმის მოუწვევლი დარჩა იტალიელისგან ნაჩუქარი სივარეტი. ალბათ, ხარისხი გაცილებით უკეთესი ექნებოდა სინიორჯანის ბობებულ თუთუნს, მაგრამ სივარეტი, სადაური წარმოებისაც უნდა იყოს, ნიკოტინის შემცველია და საშიშობაა ჯანმრთელობისთვის.

6 მატჩში გატანილი 11 გოლი, ერთი ფრე და 5-დან 4 თამაშში მასპინძლის სიხარული, ერთხელაც სტუმრის ჩადენილი პატივარა სასწაული და სულ ეს არის მეთერთმეტე ტურის მთელი ფილოსოფია.

„სათადარიგოთა სკამზე დიდხანს ვერ ჩერდებოდა დინამოელთა თავკაცი. თავისი ფეხბურთელების შემყურეს ემოციები ეძალებოდა და ხშირ-ხშირად წამოხტებოდა-ხოლმე შენიშვნების მისაცემად. რევაზ არველაძემ ერთხელ მოთხოვა სივარეტი, მეორედ... „დინამოს“ კი გოლი ვერ გაჰქონდა.

ვერ ვიტყვით, რომ „დინამოს“ „გორდასთან“ უსაშველოდ გაუჭირდა, მაგრამ მაინც უფერულად გამოიყურებოდა ეროვნული ჩემპიონატის რეკორდსმენი. ათგზის ჩემპიონებს კიდევ არაერთი დამბრკოლების გადალახვა მოუწევთ, სანამ უწინდელ სახეს და დიდებას დაიბრუნებდნენ. ბევრის აზრით, ეს დროც მალე მოვა, ზოგი კი სკეპტიკურად შესცქერის „დინამოს“ მომავალს. მანამდე კი გაურკვევლობაში მყოფი კლუბი მესამეა, წინ გაჭრილებს გვარიანად ჩამორჩება, უკნიდან მდევრის სუნთქვაც ესმის, მაგრამ ჯერაც თავმოწონედ დგას. ალბათ, ექვსეულშიც თავისუფლად დაიმკვიდრებს ადგილს, თუმცა იმის იქით რა იქნება, არავინ იცის.

პირველ ნახევარში მწვრთნელის მითითებებმა ვერაფერი უშველა „დინამოს“. გაბრაზებული გაემართა გასახდელისკენ არველაძე.

„ურნალისტებთან იჯდა იტალიელი ჯანი კარნევალი. „ბათუმის“ ყოფილ თავკაცს, აბა, სანერვიულო რა უნდა ჰქონოდა ჩაფიქრებული ვაჟყურებდა მონღორზე გაჩაღებულ ბურთობას და მაღლიმალ ურტყამდა ნაფაზებს.

„გორდას“ ბედი გარკვეულია. მართალია, ვერ ყველაფერი წინაა და არც არაფერია დაკარგული, მაგრამ რუსთაველებს, ალბათ, უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევთ ბრძოლა. ამ შეჯიბრისთვის კი ქვედა ექვსეული არსებობს, სადაც ერთი უკვე დაბალ ლიგაში შეგვიძლია ვივლით სხმით. ის ერთი სამტრედის „იბერია“ გახლავთ, დანარჩენი ხუთი კი იბრძობიან.

სახეაწითლებული გამოშორდა გვირაბს „დინამოს“ მწვრთნელი, აშკარა იყო, გასახდელში ბიჭებს ზომავდა მეტად დაუცაცხანა. ჯიბეები მოიხზრიკა და კარნევალიც მიხვდა, ყველაზე მეტად რა დამშვიდებდა არველაძეს. იტალიელმა ჯიბიდან სივარეტის კოლოფი ამოიღო, თუ არ ვცდები, „ვესტი“

დაშავებულია, ზოგსაც გაუგებარი მიზეზების გამო იშვიათად ვხვდებით მინდორზე სამაგიეროდ, რუსთაველ გუნდს გამოუჩნდა სოლიდური პატრონი, მართალია, ცოტა ნაკვინიევად, მაგრამ გადარჩენის პერსპექტივა ჯერ კიდევ არის. იმ დროს, როცა „დინამო“ „გორდას“ უგებდა, ბოლნისში თსუ კიბლებით იცავდა მონაპოვარს. შეინარჩუნეს სტუდენტებმა მინიმალური უბრაატესობა, ექვსეულის კიდესთანაც მოკალათდნენ, მაგრამ იქ შეღწევაზე რაღა მოგახსენით.



„დინამოს“ მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძემ საფრთხე აკრობატული ნახტომით აირიდა

ანაღგაზრდული, მებრძოლი და მეტად სიმპატიური გუნდია თსუ. ფეხბურთსაც სანახაობრივს და გააზრებულს თამაშობს, მაგრამ ეს მაინც არასაკმარისია ექვსეულში შესაღწევად. სტუდენტთა დამრიგებელმა თენგიზ კაცამ ადრე ასეთი რამ გვითხრა: „ჩვენი გუნდის მეკარე დავით მამარდაშვილი სასურველ ფორმაში ჯერ არ იმყოფება. არც მიკვირს, ბიჭმა ჯერ ცოლი შეირთო, ახლანაშ შეილიც შეეძინათ, ამ ამბებმა თავისი წილი დრო და ყურადღება მოითხოვა დათოსგან, მაგრამ მწამს, რომ სულ მალე იგი ძველებურად, დამაჯერებლად ათამაშდება“.

ლინისელები ექვსეულში მოხვედრის პერსპექტივას ძალიან მიახლოებდნენ. არც ახლავ ყველა იმედი გადაწურული, მაგრამ მეორე წრის კალენდარს თუ გადავხედავთ...

აბა, რა დიდი მიხვედრა ამას უნდოდა, რომ „ბათუმი“ შინიდან საცოდავ „იბერიას“ არაფერს გაატანდა?! სამი გაიტანეს მასპინძლებმა, პენალტიც გააცუდეს, ზედ რამდენიმე საგოლე მომენტიც მიაყოლეს და მეექვსე, იმედისმომცემ ბოლო საფეხურზე მოყუდდნენ.

ამაღგაზრდული, მებრძოლი და მეტად სიმპატიური გუნდია თსუ. ფეხბურთსაც სანახაობრივს და გააზრებულს თამაშობს, მაგრამ ეს მაინც არასაკმარისია ექვსეულში შესაღწევად. სტუდენტთა დამრიგებელმა თენგიზ კაცამ ადრე ასეთი რამ გვითხრა: „ჩვენი გუნდის მეკარე დავით მამარდაშვილი სასურველ ფორმაში ჯერ არ იმყოფება. არც მიკვირს, ბიჭმა ჯერ ცოლი შეირთო, ახლანაშ შეილიც შეეძინათ, ამ ამბებმა თავისი წილი დრო და ყურადღება მოითხოვა დათოსგან, მაგრამ მწამს, რომ სულ მალე იგი ძველებურად, დამაჯერებლად ათამაშდება“.

„სხლა „ბათუმი“ სატრანსფერო სეზონის გახსნას უცდის, მოძლიერდება, მოლოინერდება და მეორე თავისას ეცდება. ტურის ცენტრალური მატჩი იყო ქუთაისში, სადაც „ტორპედომ“ სეზონში პირველად წაიფორხილა. ბევრიც არ ელოდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ“ რიონისპირა ქალაქიდან ქულა წამოიღო. იყო ბრძოლა. დარჩა შედეგით უმცაყოფილო მასპინძელი და კმაყოფილი სტუმარი.

მამარდაშვილი მართლაც ათამაშდა. მისი მძლეველი „თემურ სტეფანიასზე“ არავინ გამოჩენილა. მართალია, თანაგუნდელთა დაუნხარებლად დათო ძველებურად, დამაჯერებლად ათამაშდება“.

პირველ ტაიმში თითქმის არაფერი ყოფილა სანახავი. მეორეში კი თამაში გახურდა და საგოლე მომენტებმაც იმზარა. აქედ სტუმართა მეკარემ გააწვბილა ორჯერ ასათიანი და ერთხელაც ჩხუტნიანი, იქით ზოიძემ აულო მეღქაძეს საგოლე დარტყმა.

„ტორპედომ“ თავისი მაინც გაიტანა. იონანიძემ შეძლო, კარგად მოთამაშე მერლანი დაელონებინა, მაგრამ სიხარული ორ წუთსა გაგრძელდა. სათამაშოდ სამი წუთის წინ გამოსულმა გონაშვილმა თავით ლამაზი გოლი გაიტანა. ქულის მონადირეებს ესეც ეყო. ვერ ითამაშა „ტორპედომ“ ჩემპიონურად, თუმც კვლავაც დაუმარცხებელია. „ვიტ ჯორჯიამ“ „კოლხეთთან“ საშინაო მატჩში განცდილი მარცხი კი გაიტარა, მაგრამ მესამე საფეხურიდან ჩამოქვეითდა და „ლოკომოტივი“ ექვსით, ხოლო „ტორპედო“ ათი ქულით გაუშვა წინ. „დინამოსთან“ არსებული სხვაობა კი ჯერჯერობით საგანგაშო არ ვახლავთ.

„ლოკომოტივი“ ჩემპიონობისთვის იბრძვის. ამაში აქამდე უთქმელი და გაუგონარი არაფერია, მაგრამ ძიძუაშვილის სამწესო ჩემპიონურად რომ ვერ თამაშობს, ფაქტია.

რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა კლუბი, ზურაბ ზინაიძისთვის საკითხი ჯერაც ვერაგვევლია, ბოლო ტურებში არც გულვან მიქაძე ჩანს. არ ვიცით, სად არის და არც მისი ტრავმის თაობაზე შეგვიტყვია რამე.

რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა კლუბი, ზურაბ ზინაიძისთვის საკითხი ჯერაც ვერაგვევლია, ბოლო ტურებში არც გულვან მიქაძე ჩანს. არ ვიცით, სად არის და არც მისი ტრავმის თაობაზე შეგვიტყვია რამე.

ძიძუაშვილი ძიბაშია. გარკვეული აფეთქების შედეგად თავდასხმამ გატანას უკლო, მთელი სიმძიმე დაეცვას და ნახევარდაცვაზე გადადის და ეს აფეთქებას მწვრთნელს.

მიუხედავად ამისა, თუ რკინიგზელებმა გოლი პირველებმა გაიტანეს, მაშინ თამაშსაც სათავეს და აბოლოვებენ.

ასე იყო მეთერთმეტე ტურშიც. მეტოქის ყველა შეტევა მოიგერიეს რკინიგზელებმა, მერე ერთი გაიტანეს, უკან დაიხიეს და მონაგარეც გაიორმაგეს. თანაც წინ გაჭრილ „ტორპედოსთან“ სხვაობაც შეამცირეს.

„ეროვნული“ ნამდვილად არ არის ის ადგილი, სადაც „მერანი“ თავისუფლად ინაგრადება. არადა, ქვეყნის ჯერაც მთავარ სარბიელს სივარე-სივარე იმდენი კი შერჩენია, ზედ კიდევ ერთი „მერანი“ დაიტოვოს.

ავჭალელთა საშველი მანამ არ იქნება, სანამ მისი ლეგიონერები ფორმაში არ შევლენ. მწვრთნელის გარკვეულ დასკვნებს გამოითანენ და ალბათ „მერანიც“ გაჭენდება.

„დინამოს“ მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძემ საფრთხე აკრობატული ნახტომით აირიდა

„ეროვნული“ ნამდვილად არ არის ის ადგილი, სადაც „მერანი“ თავისუფლად ინაგრადება. არადა, ქვეყნის ჯერაც მთავარ სარბიელს სივარე-სივარე იმდენი კი შერჩენია, ზედ კიდევ ერთი „მერანი“ დაიტოვოს.

ჩემპიონატის სტატისტიკა

Table with 2 columns: Category (ტური, მატჩი, გოლი, etc.) and Value (11, 65, 156, etc.)

Table with 2 columns: Team (დაჯარიმდა, მასპინძელი, სტუმარი, etc.) and Goals (სემ, 98, 16,35, etc.)

Table with 2 columns: Team (დაჯარიმდა, კუთხური, etc.) and Goals (9, 5, 1, etc.)

Table with 2 columns: Team (დაჯარიმდა, კუთხური, etc.) and Goals (30, 0, 4, etc.)

Table with 2 columns: Team (დაჯარიმდა, კუთხური, etc.) and Goals (5, 1, 0, etc.)

Table with 2 columns: Team (დაჯარიმდა, კუთხური, etc.) and Goals (34, 2, 3, etc.)

Table with 2 columns: Team (დაჯარიმდა, კუთხური, etc.) and Goals (20, 4, 4, etc.)

Table with 2 columns: Team (დაჯარიმდა, კუთხური, etc.) and Goals (12, 1, 1, etc.)



„მერანის“ სამარქაულოთაგან ჯერ არცერთმა იცის, მწვრთნელი რომელს უხმობს

Club profile for „ბათუმი 3:0 იბერია“ including logo, address, and statistics.

Club profile for „სიონი 0:1 თსუ“ including logo, address, and statistics.

Club profile for „დინამო 2:0 გორდა“ including logo, address, and statistics.

Table with 2 columns: Team (გომარადიანი, მურანი, etc.) and Goals (8, 7, 5, etc.)

Table with 2 columns: Team (დაჯარიმდა, კუთხური, etc.) and Goals (20, 4, 4, etc.)

Table with 2 columns: Team (დაჯარიმდა, კუთხური, etc.) and Goals (12, 1, 1, etc.)

Club profile for „გორკადო 1:1 ვიზ ჯორჯია“ including logo, address, and statistics.

Club profile for „ლოკომოტივი 2:0 ბერანი“ including logo, address, and statistics.

Club profile for „კოლხეთი 1:0 დილა“ including logo, address, and statistics.



ლოკომოტიველ კახა გოგიჩაიშვილს (მარჯვნივ) მერანელი ოთარ როსტიაშვილი მეურვეობს

Table with 2 columns: Team (ბაზა აფხაზთა, ვლადიკავკასი, etc.) and Goals (1, 1, 1, etc.)

Table with 3 columns: Team (სულ, ვინ, სტუმრად) and Statistics (Goals, Cards, etc.)



სარკიელი

საოკუპაციო ლაბარია

"CROCO"

იტალია. სერია A. მე-4 ტური
1 ნომბერი

18.00	005	ატლანტა-ვერონა	1,75	2,9	4,7	
18.00	006	ბოლონია-რეჯინა	1,5	3,2	7,5	
18.00	007	ფიორენტინა-ბარი	1,5	3,2	7,5	
18.00	008	იუვენტუსი-უდინეზე	1,4	3,5	7,0	
18.00	009	იუვენტუსი-უდინეზე	0:1	2,0	3,0	2,4
18.00	010	ლაციო-ბრეშა	1,2	5,0	9,0	
18.00	011	ლაციო-ბრეშა	0:1	1,7	3,2	3,2
18.00	012	ლენი-ნაპოლი	1,9	2,9	4,0	
18.00	013	ვინცა-პერუჯა	2,0	2,8	3,8	
23.30	014	ინტერი-რომა	2,4	2,8	2,9	
23.30	015	პარმა-მილანი	2,4	2,8	2,9	

იტალია. სერია B. მე-9 ტური
1 ნომბერი

18.00	016	კალიარო-პისტოიუზე	1,5	3,4	7,5
18.00	017	კიევი-ემპოლი	1,9	2,6	4,7
18.00	018	ჩიტადელა-ტორინო	2,8	2,6	2,6
18.00	019	კროტონე-სამპდორია	2,7	2,6	2,7
18.00	020	ჯენოა-კოზენცა	2,3	2,4	3,6
18.00	021	პესკარა-ანკონა	2,0	2,6	3,5
18.00	022	სალერნიტანა-პიანცა	2,2	2,6	3,3
18.00	023	სიენა-ვენეცია	2,7	2,5	2,8
18.00	024	ტერნანა-მონცა	1,7	2,8	5,3
18.00	025	ტრევიზო-რავენა	1,7	2,8	5,3

ესპანეთი. I დივიზიონი. მე-8 ტური
1 ნომბერი

20.00	028	ალავესი-სოსიედადი	1,6	3,1	5,3	
20.00	029	მალაგა-ოსასუნა	1,7	2,9	5,0	
20.00	030	ბილბაო-სარაგოსა	1,7	2,9	5,0	
20.00	031	რეალი-მადრიდ	1,3	3,8	8,0	
20.00	032	რეალი-მადრიდ	0:1	1,9	3,2	2,6
22.00	033	ოვიედო-რასიო ვალეკანო	2,3	2,9	3,0	
22.00	034	ვალადოლიდი-ესპანოლი	1,8	3,0	4,2	
22.30	035	რასინგი-ვილიარეალი	2,0	2,9	3,6	
24.00	036	ვალენსია-სელტა	1,7	2,9	5,0	
24.00	037	ბარსელონა-ნუმანსია	1,2	5,0	9,0	
24.00	038	ბარსელონა-ნუმანსია	0:1	1,7	3,2	3,2

ესპანეთი. II დივიზიონი. მე-10 ტური
1 ნომბერი

15.00	039	ვიბარი-ბუტისი	2,5	3,0	2,5
15.00	040	ლეგანესი-ხეტაფე	1,8	2,9	4,4
16.30	041	უნივერსიდადი-ატლეტიკო	3,3	3,0	2,0
20.00	042	კორდობა-ელჩე	1,5	3,3	7,0
20.00	043	ესტრემადურა-ფეროლი	1,65	3,0	5,6
20.00	044	სალამანკა-ხაენი	1,8	3,0	4,2
20.00	045	სევილია-უელვა	1,5	3,2	6,5
20.00	046	ალბასეტე-სპორტინგი	2,1	3,0	3,3
21.00	047	მურსია-კომპოსტელა	1,6	3,2	5,6
21.00	048	ლეიდა-ლევიანტე	2,6	2,9	2,5
22.00	049	ტენერიფე-ბადახოსი	1,7	2,9	5,3

პოლანდია. I დივიზიონი. მე-11 ტური
1 ნომბერი

23.00	050	ჰერენვენ-სპარტა	1,35	4,0	7,5	
	051	ჰერენვენ-სპარტა	0:1	1,9	3,2	2,6
23.00	052	ნაიმეგენი-გრააფსხაპი	1,55	3,3	5,3	
23.00	053	პსევითესი	1,65	3,2	5,0	
23.00	054	ვალეიკი-უტრეხტი	1,8	3,1	4,0	
23.00	055	როდა-სიტარდი	1,25	4,4	8,0	
	056	როდა-სიტარდი	0:1	1,8	3,3	2,8

2 ნომბერი

23.00	057	ფეინოორდი-როზენდალი	1,1	6,0	12,0	
	058	ფეინოორდი-როზენდალი	0:1	1,4	3,6	4,0

პოლანდია. II დივიზიონი

1 ნომბერი

23.00	059	დენ ბოსხი-პარლემი	1,2		
-------	-----	-------------------	-----	--	--

ბელგია

1 ნომბერი

18.00	060	ანტვერპენი-გენკი	2,5	3,0	2,5
-------	-----	------------------	-----	-----	-----

საბერძნეთი

1 ნომბერი

19.00	061	არისი-პაოკი	2,1	2,9	3,2
-------	-----	-------------	-----	-----	-----

ჩეხეთი

1 ნომბერი

17.30	062	იბლენეცი-ბრნო	2,0	3,0	3,5
20.00	063	ბუდეოვიცი-პრეშბორამი	2,3	3,0	2,9

ავსტრია. მე-17 ტური
1 ნომბერი

18.30	064	ადმირა-ლინცერი	2,3	3,0	2,9	
18.30	065	გრაცერი-ბრეგენცი	1,35	4,0	7,5	
	066	გრაცერი-ბრეგენცი	0:1	1,9	3,2	2,6
21.00	067	აუსტრია-რაპიდი	2,5	3,0	2,5	
21.00	068	რიდო-ზალცბურგი	2,3	2,9	2,7	
23.00	069	ტიროლი-შტურმი	1,9	3,1	3,4	

შვეიცარია. A ჯგუფი. მე-17 ტური
1 ნომბერი

22.30	070	არაუ-სიონი	2,3	2,9	3,0
22.30	071	სერვეტი-გრასკოპერი	2,5	3,0	2,5
22.30	072	ივერდონი-ლუცერნი	1,7	3,1	4,7

შვეიცარია. B ჯგუფი. მე-19 ტური
1 ნომბერი

17.30	077	ბელინცონა-ვილი	2,3	3,0	2,9
22.30	078	სოლოტურნი-დელემონი	3,3	3,0	2,1
22.30	079	იანგ ბოიზი-ტური	1,7	3,2	4,4

რუსეთი
2 ნომბერი

17.00	080	სპარტაკი-როსტსელმაში	1,15	5,6	10,0
-------	-----	----------------------	------	-----	------

გერმანია. თასის II ეტაპი
1 ნომბერი

17.00	087	უნიონი-ფიურტი	2,4	3,0	2,7
17.30	088	შტუტგ. (მოვე)-შტუტგარტი	9,0	5,0	1,2
22.00	089	ლიუბეკი-დუისბურგი	2,4	3,0	2,7
22.00	090	ულმი-კოტბუსი	2,5	3,0	2,5
22.00	091	პანოვერი-ჰანზა	2,7	3,0	2,4
22.00	092	მიონხენგლადახი-კაისერსლაუტერი	3,2	3,3	1,8
23.00	093	უნტერჰაინგი-მიუნხენ 1860	2,5	3,0	2,5
23.00	094	ზანკტ პაული-შალკე	4,2	3,1	1,75
23.00	095	ვოლფსბურგი-ჰერტა	2,4	2,9	2,8
23.30	096	მაგდებურგი-ბაიერნი	12,0	6,0	1,1

ინგლისი. ლიგის თასის III ეტაპი
1 ნომბერი

23.45	103	არსენალი-იფსვიჩი	1,45	3,4	6,0
23.45	104	ასტონ ვილა-სიტი	1,5	3,3	6,0
23.45	105	დერბი-ნორვიჩი	1,55	3,3	5,3
23.45	106	ფულემი-ფულერჰემპტონი	1,4	3,5	6,0
23.45	107	ლესტერი-კრისტალ პალასი	1,2	5,0	9,0
23.45	108	ნიუკასლი-ბრედფორდი	1,25	4,4	8,0
23.45	109	საუთჰემპტონი-ქოვენორი	2,0	3,1	3,4
23.45	110	სტოკი-ბარნსლი	2,5	3,0	2,5
24.00	111	ლივერპული-ჩელსი	2,0	3,0	3,3
24.00	112	უენსდი-შეფილდი	2,4	3,1	2,5

საფრანგეთი. ლიგის თასი
1 ნომბერი

18.00	113	ნანსი-სოშო	2,5	2,9	2,6
21.00	114	რედ სტარი-ლორიანი	3,1	3,0	2,2
22.00	115	ლე ავრი-ლაველი	2,1	2,9	3,4
23.00	116	ლუანი-კრეტეი	2,8	2,9	2,3
23.00	117	ნიმი-ანჟერი	1,55	3,4	5,6
23.00	118	ამიენი-ლე მანი	2,5	2,7	2,8
23.00	119	ვალანსი-ბოვე	2,3	2,8	2,9
23.00	120	მარტივი-შატორუ	2,3	2,8	2,9
23.00	121	კანი-მონპელიე	4,0	2,9	1,9

პორტუგალია. თასი
1 ნომბერი

20.00	122	სეტუბალი-შავეში	1,7	3,1	4,7
20.00	123	ესპინიუ-პენაფიელი	2,2	2,9	3,2

ჩეხეთი. თასის 1/8 ფინალი

1 ნომბერი

17.00	126	ხომუტოვი-სპარტა	10,0	5,6	1,15
17.00	127	ოპავა-ტეპლიცე	5,0	3,2	1,6
17.00	128	ლიბერეცი-ჟიჟკოვი	1,3	4,0	7,5
17.00	129	ბოჰემიანსი-ბლ შანი	1,8	2,9	4,2
17.00	130	სინოტი-სლავეია	3,2	3,1	2,0

თურქეთი. სუპერთასი

1 ნომბერი

21.00	131	გალათასარაი-ბეშიქთაში	2,0	2,9	3,4
-------	-----	-----------------------	-----	-----	-----

შოტლანდია. ლიგის თასის 1/4 ფინალი

1 ნომბერი

23.35	135	პართსი-სელტიკი	5,0	3,2	1,6
-------	-----	----------------	-----	-----	-----

კალათბურთი. სუპროლიგა

1 ნომბერი

18.00	801	სპლიტი-ალბა	1,3	12,0	2,8
18.00	802	რაანანა-უდჰერი	1,6	12,0	1,8
18.00	803	პლანია-პო ორტეხი	3,1	12,0	1,2
18.00	804	ცსკა-სიენა	1,2	12,0	3,1
18.00	805	ეფესი-ბაიერი	1,2	12,0	3,1
18.00	806	პარტიზანი-ერკა	1,2	12,0	3,1
18.00	807	სკავოლინი-ირაკლისი	1,35	12,0	2,3
18.00	808	ვილურბანი-რიტასი	1,2	12,0	3,1
18.00	809	ოსტენდე-შაპი	2,3	12,0	1,35
18.00	810	პანათინაიკოსი-ცეპტერი	1,05	12,0	5,5

კალათბურთი. ევროლიგა

2 ნომბერი

18.00	811	ლუგანო-ფორტიტუდო	3,1	12,0	1,2
18.00	812	ესტუდინტესი-ზადარი	1,3	12,0	2,5
18.00	813	პერისტერი-ჟალგირისი	1,35	12,0	2,3
18.00	814	შარლერუა-აეკ	2,5	12,0	1,3
18.00	815	ტაუკინდერი	1,6	12,0	1,8
18.00	816	ციბონა-სტ.პეტერბურგი	1,15	12,0	3,5
18.00	817	ოვარენსე-რეალი	4,0	12,0	1,1
18.00	818	ოლიმპია-ოლიმპიაკოსი	1,45	12,0	2,0
18.00	819	ბენეტონი-ჰაპოელი	1,45	12,0	2,0
18.00	820	ლონდონი-ბუდუენოსტი	2,1	12,0	1,4
18.00	821	პაკ-სკაილაინერსი	1,05	12,0	5,5
18.00	822	მიულერი-ბარსელონა	1,5	12,0	1,9

კალათბურთი

1 ნომბერი

24.00	836	ბოსტონი-დეტროიტი	1,4	12,0	2,3
24.00	837	ფილადელფია-ტორონტო	1,3	12,0	2,8
24.00	838	შარლოტი-ვაშინგტონი	1,15	12,0	4,0
24.00	839	კლივლენდი-საკრამენტო	2,0	12,0	1,5
24.00	840	მიაში-ორლანდო	1,5	12,0	2,0
24.00	841	სიეტლი-დენვერი	1,2	12,0	3,5
24.00	842	დეიკერსი-იუტა	1,2	12,0	3,5

2 ნომბერი

24.00	843	ნიუ იორკი-ატლანტა	1,1	12,0	5,0
24.00	844	დალასი-ინდიანა	2,0	12,0	1,5
24.00	845	სან ანტონიო-მინესოტა	1,25	12,0	3,1
24.00	846	ჰიუსტონი-მილუოკი	1,7	12,0	1,7
24.00	847	დენვერი-გოლდენ სტიტი	1,25	12,0	3,1
24.00	848	ფინიქსი-პორტლენდი	1,7	12,0	1,7
24.00	849	კლიპერსი-ვანკუვერი	1,5	12,0	2,0

ჰოკეი

1 ნომბერი

24.00	907	რეინჯერსი-ტამპა ბეი	1,55	4,0	3,0
24.00	908	მონრეალი-დეტროიტი	2,2	4,0	2,0
24.00	909	ფლორიდა-აილენდერსი	1,8	4,0	2,4
24.00	910	ნიუ ჯერსი-ფილადელფია	1,7	4,0	2,6
24.00	911	დალასი-კოლუმბუსი	1,3	4,0	5,0
24.00	912	ედმონტონი-კალგარი	1,55	4,0	3,0
24.00	913	ვანკუვერი-კოლორადო	2,1	4,0	2,1
24.00	914	ანაჰაიმი-ფინიქსი	2,1	4,0	2,1
24.00	915	სან ხოსე-პიტსბურგი	1,9	4,0	2,3

2 ნომბერი

24.00	916	ოტავა-რეინჯერსი	1,55	4,0	3,0
24.00	917	ფილადელფია-ნეშვილი	1,7	4,0	2,6
24.00	918	ბოსტონი-ჩიკაგო	1,6	4,0	2,8
24.00	919	ტორონტო-ნიუ ჯერსი	2,0	4,0	2,2
24.00	920	ატლანტა-ლოს ანჯელესი	2,1	4,0	2,1
24.00	921	სენტ ლუისი-ვაშინგტონი	1,35	4,0	4,4

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეტ

ბათაბაშაბის წესები

თარგმანი
ინგლისურ ენაში

თამაში მოწინააღმდეგე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატრის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატრის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტები შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატრზე, ასევე რამდენიმე მატრის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშე უნდა გამოიცნოს ვარიანტი აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატრის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეთაფის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატრის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატრის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატრის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლდება არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმორჩენდა შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატრის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატრთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატრის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატრიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატრის გადატანისას, ან მატრის ნეიტრალურ მიწოდებაზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატრი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატრზე დადებული ფსონი მატრის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატრის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატრის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატრი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატრი გადათამაშდა, მოგება გაცივმა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატრიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატრების წინ).

ტურში გატანილი გოლფების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატრი გადაიდო და ამ მატრს შეეძლო გავლენა მოცემული ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკომპირებადია და შედეგები ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბექეტით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატრებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითარების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატრთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბექეტების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაცივმა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატრების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაცივმა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცივმა იწყება მატრის შემდგომ პირველდღე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაცივს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღებს იმ ქვითარებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მოწინააღმდეგე „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანხმება, ითამაშოს არსებული წესებით.

ჭუთაისში გალე კვლავ ააუზავდა კროკოს ბიურო კველ მისაბართზე: კუპონის №16 (ტელეკომპანია „იპარიონის“ უანოზაო)

სლოვანია

სლოვანიაში არტისტოპონის მემორიალობა

VI ტური
ზაგორე — ტრიგლავი 67:77, საგინსკი — პელიოსი 97:93, როგლა — კრამიტი 80:73, ლოკა კავა — პიოვარინა 74:107

სლოვანი 96:82 კომპლასტი
სლოვანი: ნოვაკი (14), ლაკოვიჩი (21), ფიკელი, გრემიჩი (13), შერბანილიძე (5), კოკალი (7), პაეჩი (7), ბონი (3), მარაგი (13), ცაიტივილი (11)
კომპლასტი: როგლიანი (3), ნოვაკოვიჩი (26), ტომიანი (8), მარეკი, მისიჩი (22), რიბევილი (2), მარეკი (1), კაპევიჩი (2), კრამიტი (2), ჩოვიჩი (6)

პრაბ 82:77 ოლიმპია

ტრაკა: დევისონი (17), ბეტროვი (16), ანულოვიჩი (14), დონიჩი (14), დონიჩი (14), ანაბოვიჩი (5), გრუმი (2), შიკოვიჩი ოლიმპია: ბუჩიროვიჩი (19), გოლიკოვი (14), ბრევიცი (3), ჯორდანი (2), კოვარიჩი (2), უკაუკასი (4), პარავინა (2), უდრიში (1), გელში

პორაჩის თასზე იტალიურ ტრიბუნალთან დაპირებული ლიუბლიანის „სლოვანი“ მილიანად სლოვენის ჩემპიონატზე გადავრთო. შექვე ტურში მისი მეტოქე ლიგის დებიუტანტი, შენტორის „კომპლასტი“ იყო. ეს გუნდი ბოლო ადგილზე კი გახლავთ, მაგრამ იოლა არაფერი თმობს, ყველას გულბინად ეთამაშება და თუ ავებს, აუცილებლად დაბრუნდება.

„სლოვანი“ „კომპლასტი“ ძლიერია, მაგრამ პირველი მეთხუთხუთმეტე დარეგარე ამას ვერ იფიქრებდით. შექვე ტურებზე 22:20 მოიგეს ათწუთული და ერთხანს უპირატესობას ინარჩუნებდნენ. მორე მეთხუთმეტე კი ძლიერად ათამაშდა ლიუბლიანელთა უკანა ხაზი (ნოვაკი-ლაკოვიჩი) და მთელენებიც მოლოდინისამებრ განვითარდა — „სლოვანი“ 30:12 მოიგო მეორე ათწუთული და შეხვედრაზე 16-ქულიანი მარაგიც წაიგო (50:34).

მეორე ტაიმში „კომპლასტი“ ბევრს ეცადა, მაგრამ მდგომარეობა ვერ გამოსწორა. ანგარიშში სხვაობა 12-16 ქულას შორის მერყეობდა. საბოლოოდ „სლოვანი“ 96:82 მოიგო და ლამაზად „პიოვარინას“ და სევენას „კრამიტი“ ზიართან — მესამე-მესამე ადგილებს იყოფს.

„სლოვანის“ ქართველებთან ყველაზე მეტად მისი ნიკა ცვიტივილი იყო (11 ქულა). მან ოცი წუთი თამაშა, სამიდან ორი ორქულიანი, სამიდან ერთი სამქულიანი და ოთხიდან ოთხი საჯარო ჩაგვლო. ნიკამ ერთი ბურთი მოხსნა და ოთხი პერსონალური მიიღო. დავით უგრეხელიძემ 15 წუთის შემდეგ შეწყვიტა თამაში. ხუთი პერსონალური მან ნაადრევად დატოვა მიხედვნი. მანამდე კი ოთხიდან ერთი ორქულიანი და ოთხი საჯარო გამოიყენა. ამას სამი მოხსნა და დავით უგრეხელიძემ ბოისა 18 წუთი იყო მოთვალე. შეტევაში არ უაქტიურია, მხოლოდ ორჯერ ესროლა და ერთხელ ჩაგვლო. სამიდან ოთხი მოხსნა, სამი ბჭრა და ორი დაფარება გააკეთა. მომდევნო ტურში „სლოვანი“ დომიკალებს პელიოსს ეწყვევა.

ნოვო მესტოში კი მთავარი მატჩი გაიმართა. ერთმანეთს დაუმარცხებელნი, მარმანდელო ჩემპიონატის ფინალისტები „კრაკა“ და ლიუბლიანის „ოლიმპია“ შეხვდნენ. შეხვედრა, ცხადია, დასაბუღად მიმდინარეობდა. საფუძვლიანად დაწინაურება ვერავინ მოახერხა. ჩემპიონი „კრაკას“ ამერიკელ ფორვარდ ბენეტ დევისონს ადრევე დაუგროვდა ოთხი პერსონალური და მატჩის დიდი ნაწილი სკამზე გაატარა. ნოვომესტოელთა მწვრთნელმა ალემ პიპანმა ბოლო წუთებზე ჩართო იგი თამაშში და, როგორც გაირკვა, მომგებიანად დევისონსა ჯერ თავის ფარზე მოხსნა მეტად მნიშვნელოვანი ბურთი, ხოლო მომდევნო შეტევისას „ოლიმპიას“ ჩაუ-



„სლოვანის“ ქართველებთან ნიკა ცვიტივილი ყველაზე მეტად იყო

გლო და თავის „კრაკას“ დაუმარცხებელი სველა გაატყობდნენ. ლიუბლიანელთა შორის საუკეთესო იყო სანი ბეჩიროვიჩი, თუმცა გადაწყვეტ მომენტში სისუსტემ დააღალატა.

Table with 2 columns: Team, Score. Rows include კრაკა (6:6:0 546:448 12), ოლიმპია (6:5:1 542:400 11), პიოვარინა (6:4:2 541:470 10), სლოვანი (6:4:2 491:462 10), კრამიტი ზილარი (6:4:2 467:479 10), ტრიგლავი (6:2:4 473:397 8), პელიოსი (6:2:4 493:539 8), ლოკა კავა (6:2:4 473:534 8), ზაგორე (6:2:4 462:523 8), საგინსკი (6:2:4 478:547 8), როგლა (6:2:4 452:523 8), კომპლასტი (6:1:5 515:511 7)

Table with 2 columns: Team, Score. Rows include ბირონა — ესტუდიანტისი 79:84, ბრევიჩი — ფორუმი 87:82, კოსტაბლანკა — პარსელონა 68:101, პაპეზა — ორენე 78:66, ტაუ — კასერესი 91:70, კანარიალი — ხუვენტუდი 82:79, ფუნაბრადა — ხიზონი 91:76, უნიკასა — კასასან ფერნანდო 88:65, რუალი — კანტაბრია 82:68

ივალის

III ტური
რევანა — სინა 72:77, სნიდერო — კინდერი 91:84, ფორტიტუდო — მიულერი 99:69, ბენეტონი — რიბინი 96:74, ტრიესტი — აველინი 80:90, მონტეკატინი — პერობორტი 83:88, სკავოლინი — ადეკო 102:66, ვარეზე — იმოლა 94:97, კორდივარი — კანტუ 91:89

მესამე ტურში უდინეს „სნიდერო“ ბოლინის „კინდერი“ დაამარცხა. ჯერჯერობით ეს გახლავთ იტალიის ჩემპიონატის უდიდესი სენსაცია. თუმცა, იტალიელი მიმომხილველები თვლიან, რომ ეს არც ისე გასაკვირია. „კინდერი“, ცხადია, ამბიციური გუნდია, მაგრამ იუგოსლავიელი პრერაგ დანილოვიჩის წასვლით (კალაბრიის თავი დაანება) იგი ხერხემალში გადატყდა. „სნიდეროს“ კი „ფორტიტუდოს“ შემდეგ, ალბათ ლიგაში უძლიერესი სასტარტო ხუთეული ჰყავს. მის რიგებში გამოირჩევიან ამერიკელები ჩარლო სმიტი და თალამუს მაკი (ამჟამად იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო მომხსენელი), იტალიის ნაკრების წევრები მიკელე მანი და ავოსტინო ლი ვეკი, აგრეთვე სლოვენელი თომან ალიბეგოვიჩი, რომელსაც ბევრი ლიგის საუკეთესო არავეროსკემიერელ მოთამაშედ მიიჩნევს.

ფავორიტმა „ფორტიტუდომ“ იოლად მოუგო კერონის „მიულერს“, ტრევიზოს „ბენეტონი“, „რიბინის“ გაუსწორდა, ხოლო ცხრილის სათავეში პეზაროს „სკავოლინი“ მოკალადა. ეს გუნდი იტალიის ჩემპიონატში ჯერაც დაუმატრვებელია, ხოლო სუპროლიგაში ორივე შეხვედრა წაავო.

Table with 2 columns: Team, Score. Rows include სკავოლინი (3:3:0 275:202 6), ბენეტონი (3:3:0 279:211 6), კინდერი (3:2:1 259:208 5), აველინი (3:2:1 284:260 5), კორდივარი (3:2:1 242:228 5), მონტეკატინი (3:2:1 271:258 5), მიულერი (3:2:1 271:267 5), პერობორტი (3:2:1 243:253 5), სნიდერო (3:1:2 250:266 4), ტრიესტი (3:1:2 235:254 4), რეგინა (3:1:2 262:285 4), რიბინი (3:1:2 247:270 4), იმოლა (3:1:2 249:279 4), სინა (3:1:2 202:238 4), კანტუ (3:0:3 234:267 3), ვარეზე (3:0:3 235:275 3), ადეკო (3:0:3 193:269 3)

საბერძნეთი

II ტური
პაოკი — ირაკლიონი 78:66, მიკედონიკოსი — მილონი 87:106, ნიარ ისტი — აგე 67:93, პანიონიოსი — ირაკლიონი 96:79, პანიონიოსი — არიოსი 91:71, მარუსი — ოლიმპიკოსი 79:91, დავნი — პერისტერი 78:86

საბერძნეთის ჩემპიონატი მოულოდნელობების გარეშე ხურდება. მეორე ტურში ფავორიტებმა იოლად გამარჯვეს. ჩემპიონმა ათენის „პანათინაიკოსმა“ სუპროლიგაში ორ მარცხს ჩემპიონატში მეორე მოგება მოუწავლა და შინ დაამარცხა სალონიკის „არიოსი“ — 91:71. ათენელთა შორის თავი გამოიჩინეს ფრაგისკოს ალევრტისმა (18 ქულა), ნანდო ჯენტლიემ (13 ქულა) და დერილ მიდლტონმა (13 ქულა). პირიქის „ოლიმპიკოსი“, მარუსის ესტუმრა და 91:79 დაამარცხა. იუგოსლავიელმა დუმან ვუჭკევიჩმა 22 ქულა შესძინა „წითლებს“, ხოლო ხორვატმა დინო რაჯამ — 19. არც ათენის აეკ-მა დაინდო „ნიარ ისტი“. მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელობა გუნდის თამაშით უკმაყოფილოა და მწვრთნელ დუმან ვუ-

თურქეთი

III ტური
ბუშქიაში — ქარშიაქა 109:73, გალათა-სარი — ანტიბრლიგი 81:84, მაიდინოსი — ალითი 90:76, ტრიი — დარუზადეკა 82:93, ფენერბაჰიე — ბუიუქკოლლეუ 82:78, კომასანი — ეფესი 73:66, ტილქიშინი 63:69 ულმარი

ტილეკომი: ერლი (25), ერფენი (14), რადოვიჩი (13), თურკოვიჩი (5), კანარი (2), ტინი (2), დემირალი (2), რასა, უჩოკლარი
ულქერი: ერფენი (15), ლოლია (13), ილდირიმი (9), ბენდლოგტინი (8), ერადგანი (8), გონდუმი (6), გოლიოვიჩი (4), გიულერი (4), სარიჯა (2)

თურქეთის ჩემპიონატის მესამე ტური რამდენიმე სენსაციით აღინშნა. ყველაზე დიდი მოულოდნელობა კონიაში მოხდა, სადაც ადგილობრივმა „ქომასანმა“ სტამბოლის „ეფესი“ დაამარცხა. „ქომასანს“ აქამდე მოგება არ ჰქონდა, „ეფესს“ — წაგება. შეხვედრის ბედი ქველ თუნჩერი და თურგაი ჩატალოღლუს (17-17 ქულა) კარგმა თამაშმა გადაწყვიტა.

ლიგის ყველაზე ახალგაზრდულმა გუნდმა, „ანტიბრლიკმა“ სტუმრად მოუგო „გალათასარი“. შესანიშნავად ითამაშა ანტიბრლიკელმა პასან ოზქანმა, რომელმაც 30 ქულა გააკეთა. ტურის ბომბარდირი კი სტამბოლის „ბუშქიაში“ ფარუკ ბუშქი გახდა. მან 35 ქულა ჩაუგდო „ქარშიაქას“, მისი გუნდი კი, თანაქალაქელ „ულქერთან“ და „ფენერბაჰისთან“ ერთად დაუმარცხებლად ლიდერობს ქვეყნის ჩემპიონატს.

„ულქერი“ ანკარაში ეწვია „ტილეკომს“ და, ავრ უპვე მერამდენე კაპიტან პარუნ ერდენის ბოლო წუთზე ჩაგდებული ბურთით გამოგლიჯა მეტოქეს გამარჯვება. ზახა ფაშულიას არ უთამაშა, „ულქერს“ იგი განაცხადული კი არ ჰყავდა.

Table with 2 columns: Team, Score. Rows include ულქერი (3:3:0 244:192 6), ბუშქიაში (3:3:0 271:226 6), ფენერბაჰიე (3:3:0 268:228 6), დარუზადეკა (3:2:1 256:237 5), ეფესი (3:2:1 230:221 5), ანტიბრლიგი (3:2:1 235:244 5), მაიდინოსი (3:1:2 234:236 4), გალათასარაი (3:1:2 234:239 4), ტილეკომი (3:1:2 229:237 4), ტრიი (3:1:2 233:247 4), ქარშიაქა (3:1:2 254:282 4), კომასანი (3:1:2 212:260 4), ბუიუქკოლლეუ (3:0:3 225:233 3), ალითი (3:0:3 229:272 3)

კოვის მუშაობის სტილის შეცვლას სთხოვს. იუკოვიჩის დაავალებს ერთ კვირაში ან მომზადების ახალი გეგმა წარმოადგინე, ან გუნდიდან წადიო.

მეოთხე დაუმარცხებელი კი ათენის „პერისტერი“. ევროლიგის ბინდარმა გუნდმა მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაამარცხა „დაფნი“ — 86:78. ალფონსო ფორდმა 25 ქულა გააკეთა, კოსტას ცარცარისმა — 19.

Table with 2 columns: Team, Score. Rows include აეკ (2:2:0 182:136 4), პანიონიოსი (2:2:0 183:140 4), ოლიმპიკოსი (2:2:0 170:144 4), პერისტერი (2:2:0 163:148 4), პანიონიოსი (2:1:1 207:192 3), მარუსი (2:1:1 180:186 3), არიოსი (2:1:1 184:202 3), მილონი (2:1:1 201:188 3), ირაკლიონი (2:1:1 159:170 3), პაოკი (2:1:1 148:143 3), დავნი (2:0:2 143:165 2), ნიარ ისტი (2:0:2 141:173 2), მიკედონიკოსი (2:0:2 156:195 2), ირაკლიონი (2:0:2 135:170 2)

საფრანგეთი

III ტური
გრანგოლინი — ვილერბანი 67:81, დიფონი — პო ორტეზი 84:72, ანტიბი — ბენანსონი 80:64, ბურგი — ლე მანი 86:94, შოლე — სტრასბური 88:61, ევრ — რასინგი 72:99, ნანსი — მონპელიე 84:69, შალონი — ლა ბერი 76:63

სამი ტურში შემდეგ საფრანგეთში ხუთი გუნდია, რომლებსაც თამაში არ წაუგიათ. ზუსტად ამდენივეს კი ჯერ გამარჯვება არ უგეშია. მოწინავე ხუთეულში ყველაზე მოულოდნელი „ლე მანის“ ყოფნა, რომელსაც ჩემპიონატის ფავორიტად არავინ თვლიდა. თუმცა, ჯერ მაინც ნაადრევად ლემახელთა ოქროს მაძიებელთა რიგებში ჩარიცხვა. თუ მათ პლეი ოფის მეორე წრეში გააღწიეს, ესეც კი უდიდესი მიღწევა იქნება. ამჯერად „ლე მანმა“, „ბურგს“ სტუმრად ავტომატურად დასპინდლებმა თავიდანვე ვერაფერი მოუხერხეს. როგორც და შესვენებაზე 24ქულიანი ჩამორჩენითაც წავიდნენ (29:53). მეორე ტაიმში ბურგელები, მართალია, უკეთ თამაშობდნენ, მაგრამ მხოლოდ ის შეძლეს, რომ ანგარიშში სხვაობა შეამცირეს.

ტურის ცენტრალურ მატჩად „დიფონის“ და „პო ორტეზის“ დაპირისპირება მოინათლა, ოდნოდ პოელთა განახლებულმა და გაახალგაზრდადებულმა გუნდმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მეორე მარცხი იწვნია. დიფონელები ძალიან აგრესიულად ეთამაშობდნენ ბურთის მფლობელს და ძირითადად ამის ხარჯზე იმარჯვეს. გარდა ამისა, ისინი საშუალო დისტანციებიდანაც გაცილებით უკეთ ისროდნენ, ვიდრე სტუმრები. თავიდან მასპინძლები ლარსონისა და რიდეის მიერ მოზოგებული ქულაებით დაწინაურდნენ, მაგრამ მეტოქე ბანაკიდან კერი და ესტელიერი არანაკლებ შედეგადად ირჯებოდნენ და „დიფონს“ წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ. მე-14 წუთზე ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 6 ქულა იყო (28:22), ტაიმი კი „დიფონმა“ 38:30 მოიგო. ჯერ დაკარგული არაფერი იყო, მაგრამ შეხვედრის შემდეგ პოელის დაღლა დაელოცა და მატჩში გარდატეხის შეტანა შეუძლებელი გახდა. უფრო მეტად დაწინაურება არც დიფონელებს მოუწოდებდათ და შეხვედრაღაც მშვიდად ჩამთავრდა.

ცოტათი გაუჭირდა, თუმცა მაინც საკმაოდ იოლად მოიგო ვიკენიემპიონმა „ვილერბანმა“. საფრანგეთის ნაკრების საბაზო გუნდი ჩრდილოეთში „გრანგოლინი“ გაეფიქრა და შეხვედრაში მღე ერთი ხანობა წინათ გაუშვა ჩემპიონატის მარჩინალთა რიგებში მყოფი მეტოქე. თუმცა მერე ჯიმ ბილას აქტიურობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

„შალონი“ კი პრო A-ს დებიუტანტი „ლე ავირი“ თავიდანვე დაწაგრა და უკვე პირველი ტაიმში გადაწყვიტა მატჩის ბედი, მეორე ნახევარში კი მშვიდად აკონტროლებდა თამაშს. ისევე იმარჯვა „ნანსიმ“ და ისევე შეტევა „მონპელიე“, რომელსაც ყველაზე მეტი ქულა მიაკვეთს (27) ჩაუგდო. ყველაზე დიდი სხვაობით კი „რასინგმა“ მოიგო. პარიზელებმა „ევრე“ მისსაკვე მოედანზე განადგურეს.

დაბოლოს, ერთი საინტერესო ინფორმაცია. ანტიბიში გამართულ მატჩში სტრასბურთა შორის მიკლ ჯორდანმაც ითამაშა. თუმცა სახელგანთნა ჩაკაეოელი კალათბურთელის სენია-მოგვარე „ბენანსონს“ დიდად ვერაფრით დაეხმარა და მისი გუნდიც ზედიზედ მესამედ დამარცხდა.

Table with 2 columns: Team, Score. Rows include ნანსი (3:3:0 269:218 6), ვილერბანი (3:3:0 240:191 6), დიფონი (3:3:0 231:197 6), ლე მანი (3:3:0 272:243 6), შალონი (3:3:0 244:218 6), შოლე (3:2:1 245:208 5), რასინგი (3:2:1 262:234 5), ანტიბი (3:2:1 231:221 5), პო ორტეზი (3:1:2 234:245 4), ევრე (3:1:2 248:265 4), ლე ავირი (3:1:2 205:240 4), სტრასბური (3:0:3 198:215 3), ბურგი (3:0:3 220:256 3), გრანგოლინი (3:0:3 228:266 3), ბენანსონი (3:0:3 202:247 3), მონპელიე (3:0:3 222:287 3)

თუ ქვიფია, ქვიფი იყოს!

მიხეილ უზმახეირა მარანელოში მარანი მოიფყო: ჭამა, სვა, იმღერა, იცეკვავა და იტალიურადაც აჭიკჭიკდა



PETRONAS MALAYSIAN GRAND PRIX

KU 'MPUR 2000

„ფერარის“ ქოჩორა ბიჭების დუეტი — მიხეილ უზმახეირა და რუბენს ბარცელო

მძალი მისხვედრი არაა, როგორ იზეიმებდა სრულიად იტალიის სათაყვანებელი „ფერარი“ წლებადელ წარმატებას. „სკულდერიამ“ ხომ 21-წლიანი უსაშველო ლოდინის შემდეგ დაიბრუნა ფორმულაში უძლიერისის სახელი, თანაც აბსოლუტურ, ანუ პირად-გუნდურ ჩათვლაში. ამიტომაც ნა-

ნატრი ტრიუმფი „ფერარის“ მშობლიურ მარანელოში უზარმაზარი წვეულებით, მეტად საპატიო სტუმართა წრეში აღნიშნეს. საფოკუსო ყურადღების ცენტრში, ცხდია, ამ ისტორიული გამარჯვების გამრი მიხეილ უზმახეირა იყო. მარათალია, მან „შპარ-

გალკით“, მაგრამ მინც მოაბა თავი იტალიურად ორიოდ წინადადებას, მერე კი სხვებთან ერთად გულიანად მოიხინა — ჭამა, სვა, იმღერა და იცეკვავა, ახლობლებსაც ემოციებისგან აცრემლებული მოესივარულა. შუში და რუბენს ბარცელო მთელი საამის განმავლობაში მღეროდნენ პოპულარულ პიტს „ჩვენ ვართ ჩემპიონები“. გერმანულ — ბრაზილიური დუეტის ყველაზე ყურადღებიანი მსმენლები კი „ფერარის“ პრეზიდენტი ლუკა და მონტეპემლო და გენერალური მენეჯერი ფან ტოლტი იყვნენ.

თავზე წითელ პარკამოცემულმა მიხეილმა ახალი ქოჩორი საკუთარ მძასაც მოაზომა, თუმცა რაღაც ამით უკმაყოფილო ჩანდა. „იდიოტებს ვგავართ“ — ბრაზობდა პატარა შუში, მაგრამ ბავშვივით ამხატებულ ჩემპიონს არაფრის გაგონება არ სურდა. ის კი არა, ფერარისფერი „ვარცხნილობა“ ლეგენდარულ ნიკი ლაუდასაც შესთავაზა, ერთი ცალი შენთვისაც მომეძებეო. გულანუყვებულმა ტრიუმფატორმა მერე ბავშვობაც გაიხსენა და ჯერ კიდევ კარტინის დროინდელ თავის მწვრთნელს, ვილი ბერგამასტერს მოეფერა, არც ცნობილი გოლკიპერის, კარალდ შუმახერის მიმართ ქათინაურის თქმა დაიწყებია: „ტონი მუდამ ჩემი კერპი იყო. მეც ყოველთვის მესურებოდა მისაგან, რომელიც თავდასხმაშიც მშვენივრად გრძობს თავს, ათსგვარ საკვებობაზე იყო უფრო აბრაზებული, ვიდრე მე“. სამეზღის ჩემპიონს საკადრისი პატივი მიავს — ენცო ფერარის მშობლიური მოდენას საპატიო მოქალაქეობა უბოძეს, ხოლო თავის მშობლიურ კერპს ახალი ქუჩაც გაჩნდა — შუში-შტრასე, მიხეილისა და რაფის საკუთარი კარტოდრომისა და მათივე სახელობის უკვე საპირკველჩაყრილი მოძალი მუზეუმის გვერდით.

ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ წვეულებაზე მოსმენილი გერმანულ პილოტს ისე დაუწუნეს, დანტე ალიგიერის ინსტიტუტმა ფლორენციაში უფასო კურსებზე მიიწვია — რაკი ჩემპიონის ტიტული ყველაზე პრესტიჟული მანქანით მოიგო, მისი იტალიურიც ასეთივე სრულყოფილი და უნაკლო უნდა იყოსო.

ირაკლი ნიკოლაძე

არ დაუჯეროთ გრესკოს!




30 ოქტომბერი
ნიუ ჯერსი — ფლორიდა 6:5
3:4 2:0 0:1 1:0
0:1 იოინი 2'13(1); 0:2 ლარიონოვი 2'44(3); 1:2 ელიაში 3'55(4); 1:3 პედიაანი 6'06(2); 2:3 გომესი 7'13(1); 2:4 პედიაანი 9'35(3); 3:4 გომესი 10'48(2); 4:4 ბრილინი 35'25(4); 5:4 ელიაში 39'55(5); 5:5 იოინი 54'01(2); 6:5 პოლივი 61'55(4)

კოლუმბია — ფინიქსი 0:4
0:1 0:1 0:2
0:1 ალაბალო 1'04(4); 0:2 რენიკი 36'27(8); 0:3 გრინი 52'52(4); 0:4 ულსონი 59'26(4)
იდაჟონსონი — ანაბაიში 5:3
2:2 1:2 2:0
0:1 ტევროდოვი 6'49(1); 1:1 ნინინა 10'07(2); 2:1 გერინი 13'04(7); 2:2 სელიანი 17'01(7); 2:3 კოლერი 27'01(3); 3:3 კოლერი 33'01(2); 4:3 პოტი 45'08(1); 5:3 გერინი 46'16(8)

ოღესდაც შონ ბურკს სახელოვან პატრიკ რუაზე არანაკლებ ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ მაგრამ... საქმე ყოველთვის ისე როდი მიდის, როგორც გვსურს. შონიც თანდათან ლიგის ერთ-ერთ რაგიტ მეკარედ იქცა. ამიტომაცაა, რომ სეზონის წინ ბევრი, მათ შორის „კოიტების“ ახალშემატებული უეინ გრეცია, აგრე უკვე წელიწადზე მეტია გაფიცულ და ამჟამად იპლ-ში მოთამაშე ნიკოლია ნაბიბულინის გუნდში დაბრუნებას მოითხოვდნენ. რუსი რომ დაეცაბულებინათ, ცხადია, ბურკი პირველ მეკარეობას დაკარგავდა, მაგრამ ყველაფერი კეთილად დასრულდა. ახალი სეზონის დაწყებისთანავე ბურკი ჩინებული ათამაშდა, ხოლო ორშაბათს უმაღლესი

კლასის მეკარეობის გაკვეთილი თვით რუას ჩაუტარა. რაკ არ სცადა ფინიქსელთა მეტოქე კოლორადო, რომელსაც ზედზედ ცხრა მოგების შემდეგ სამილა ამორეზა საკლებო რეკორდს, მაგრამ უშედეგოდ. მთელ 61 წუთის განმავლობაში ბურკის მუდმივად ბომაზდნენ, სულის მოთქმის საშუალებაც კი არ ჰქონდა, მაგრამ ერთი შეცდომაც არ დაუშვა. მორე პერიოდში კი ზედიზედ ისეთი სამი დარტყმა მოიგერია, აღბათ, თავდაცვ განცვიფრდა.

კვირის მოთაბაშე სკოტ იანგი (სენტ ლუისი)



როცა გუნდში ისეთი გამომამაშებელი გყავს, როგორც პიერ ტარჯონია, ცხადია, კარის ადგების შანსი გაცილებით ხშირად მოგეცემა, მაგრამ კარგად მოწოდებული შაბის გამოყენებაც ხომ უნდა შეგეძლოს. სენტლუისელმა სკოტ იანგმა სწორედ შეტების ჩინებულად დაგვირგვინების უნარი გამოამყვანა. ამიტომაცაა, რომ 11 მატჩის შემდეგ მას უკვე 12(1) გოლი მოუგროვდა. ესოდენ ბრწყინვალე შედეგი დიდი ხანია, დასაწყისში არავის უჩვენებია. თანაც იანგს გამოჩენილი კი არა, ყველა მატჩში გააქვს, რაკ ერთობ მნიშვნელოვანია. გამონაკლისი არც გასული კვირა გახლდათ. „ბლუზმენებმა“ სამი შეხვედრა ჩაატარეს და იანგს ერთშიც არ დაუტოვებია ყინული უფოლოდ. 4 შაბის მან 2 პასიც დაამატა და კვირის მოთამაშის წოდებაც დამსახურებულად მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ იანგს გუნდის მიერ გატანილი გოლების ლამის ერთი მესამედი ეკუთვნის და „ბლუზმენთა“ საუკეთესო სტარტშიც ლომის წილი დაიდო. მართალია, ნიუჯერსელეებმა — რენდი მაკემ და ჯონ მედენმა ერთ მატჩში 4-4 შაბა შეგადეს (ასეთი რამ ნალ-ის ისტორიაში 1922 წლის შემდეგ არ მომხდარა), მაგრამ ერთი, თუნდაც ფანტასტიკურად ჩატარებული თამაში ბევრს არ ნიშნავს. ამიტომაც ლაშუაგობა იანგს სხვა წილად.

საუბეთესო მამსაშული.
ლოინიკ კაშპიი (ბუფალო, 1); ალაშ ვუტი (კოლორადო, 1) — ოლაშ ტევეროდოვი (ანაბაიში, 1); სკოტ იანგი (სენტ ლუისი, 1) — კიმი ტარჯონი (სენტ ლუისი) — კოლ კარინა (ანაბაიში, 1)

ნადა, მაგრამ ერთი შეცდომაც არ დაუშვა. მორე პერიოდში კი ზედიზედ ისეთი სამი დარტყმა მოიგერია, აღბათ, თავდაცვ განცვიფრდა.

ამ მატჩის შემდეგ ლიგაში არც ერთი დაუმარცხებელი გუნდი აღარ დარჩა, ხოლო ფინიქსი, რომელმაც წლეულს თავის ისტორიაში საუკეთესო სტარტი აიღო (+9=2-1), კოლორადოსთან ერთად ჩემპიონატის ლიდერია.

ედმონტონში მასპინძელთა პირველმა ზაზმა, გერინი-უელიტი (3 პასი) — სმიტი, კარია — სელიანეს დუეტს აჯობა და „მენავიბობებმა“ ხუთმატჩიანი უხეირობაც შეწყვიტეს.

სამხელ ლარიანი

ხვალუი უხვდიც



სამართო უკან მდარჩა ბერმუდის კუნძულებთან ამოვარდნილი ქარიშხალი და თერმომეტრებშიც სვეტების აღმავლობა შეინიშნება. მორე კარგი ამბავი ის გახლავთ, რომ ქარი ჩაღდა და აქეთ-იქით აღარ უბერავს, ამიტომ კვიპაყებს საქმე შემოაკლდათ, დააყენებენ აფრებს, მერე კი დროის საამოდ მოკვლას ცდილობენ — ზოგი ლუბოპითან მოკალათებულა და გარე სამყაროს გუჭკუჭკუბა, სხვები ტიტლიკანები დარბიან ვემბანზე და კანს იმუქებენ, „აილ ოფ მენული“ ბობ პიკი ვილოსოფოსობს თემამზე, თუ რად ჰქვია ჩვენს პლანეტას დედამიწა, როცა ირგვლივ წყლის მეტს ვერაფერს შედავს და ბოლოს, დიდი და პატარა ხემოთ მოყვანილი მიზეზის გამო ლიტრობით წყალს სვამს, რომელსაც იახტებზე დაყენებული შესაბამისი აპარატები გამოიმუშავებს.

ამ წუთისთვის დიდი და პატარა ოდნავ არახუსტი ნათქვამია: „აილ ოფ მენი“ ორიოდე დღის წინ უწყლოდ და-

რჩა, რადგან აპარატში ნახვრეტი გაჩნდა. „ცულ დროს გვიყვლა მოწყობილობამ — ამბობს შვიპერი ლინ პარკერი — სიცხის გამო წყალზე მოთხოვნილება ერთობ დიდია.“ ლაპარაკია ეკიპაჟის 18 წევრზე, რომელთაც მშვენიერი, უიქენდით დღეები ჩამწარდათ. ახლა ისინი ზერელის დასამანად მუშაობენ, ხოლო სათადარიგო ვარიანტის გამოყენებამ წუთში ორი ლიტრი წყლის მიღების საშუალება შექნა, ამიტომ ეკიპაჟის წევრები დიდი ბუბა გამოირიცხა. მომხდარმა განაპირობა თუ მდევრების აქტიურობამ, „აილ ოფ მენამ“ „ვერტიკალი“ და „სპირიტ ოფ ჰონკონგი“ წინ გაუშვა და ახლა მხოლოდ „ნორვიკ ონიონს“ უსწრებს. ეს უკანასკნელი ხელახლა იქცა უიქედო მანჩანალად.

II მტაპი

ბოსტონი — ბუნოს აირეი

31 ოქტომბრის ვითარება

1. „ელ ჯი ფლატონი“	3090	0
2. „კომპატი“	3142	52
3. „ქაიდსტონი“	3176	86
4. „ლოკივი“	3184	94
5. „ლიმსპერი“	3207	117
5. „ბი ბი“	3207	117
7. „ოლიმპიკ გრუბი“	3214	124
8. „სერკო“	3225	135
9. „ვერტიკალი“	3238	148
10. „სპირიტ ოფ ჰონკონგი“	3250	160
11. „აილ ოფ მენი“	3297	207
12. „ნორვიკ ონიონი“	3441	351

მორე სვეტში მოცემულია მანძილი (საზღვაო მილებში) ფინიშამდე, მესამეში — ჩამორჩენა ლიდერთან.

კოლუმბოს გზით



აფროსანთა ქარავანი ჰავანისკენ ვილაპურადან გაცურავს

THE TIMES Clipper 2000 RACE VIEWER

მთლად ასეც არა — კოლუმბოთა თავის დროზე არ იცოდა, რომ ამერიკის აღმოსაჩენად უფრო მართებული, ჯერ სამხრეთით სვლა იყო (რახან იქ ბევრად ზელსაყრილი ქარები ქრის ხოლმე) და პირდაპირ აზორის კუნძულებსკენ გაცურა, ხოლო „ტიამს კლიპერ 2000“-ის იახტებს მთელი მეტეოროლოგიური ცენტრები ესმარებიან და ქარის უმცირეს ულუფებსაც არ აკარგვიან. ამიტომ რეგატის მორე ეტაპი პორტუგალიური ვილაპურადან სამხრეთ-დასავლეთითაა მიმართული, ხოლო ფინიშის პუნქტი ჰავანა გახლავთ. ამჟამად იახტები მადეირას კუნძულების რაიონში იმყოფებიან, მაგრამ იქაურებს დიდებული დვინოს გასასინჯად არ სცხელათ. პირველი ეტაპის ფინიშზე მესამე ადგილის ბედი სამმა წუთმა გადაწყვიტა, რამდენითაც „პორტსმურომი“, „ოლიონს“ გაუსწრო და ახლაც ეს წყვილი ცხარედ პაექრობს,

ოლიონ პირველობისთვის. მათ მილიც აღარ აპირებთ, წინ ხან ერთი გაიჭრება, ხან მორე, რაც ორთავეს საქმისთვის სასარგებლოა — მატროსები არ ზარმაკობენ. პირველი ეტაპის მომები „ბრისტოლი“ მხოლოდ ბოლოსწინაა, ხოლო მანჩანალა „ლივერპული“ გახლავთ, რომელიც ვილაპურაშიც ბოლო შეეცურდა.

დაპირი გულშა

II მტაპი

ვილაპურა — ჰავანა

31 ოქტომბრის ვითარება

1. „ლონიონი“	3641	0
2. „პორტსმუთი“	3642	1
3. „პალიმუთი“	3646	5
4. „ოლისი“	3657	16
5. „გლანზო“	3663	22
6. „ქერსი“	3678	37
7. „ბრისტოლი“	3690	49
8. „ლივერპული“	3733	92

მორე სვეტში მოცემულია მანძილი (საზღვაო მილებში) ფინიშამდე, მესამეში — ჩამორჩენა ლიდერთან.

თურქეთში ყავა პარტია

იკითხეთ ტოლსტოი და გაიღიამეთ

დასაწყისი პირველ გვერდზე

ლოპინგის თემა ჭაქარაძისთვისაც აქტუალური გახდა. ადრინდელი ინფორმაციით, ბოლო ტურის შემდეგ პრიზორებს ღობინგზე ტესტირებას უბრუნებდნენ. ბევრი შეშფოთდა — ბოლო და ბოლოს ყავასაც შეეძლო, დაღებით შედეგის მიზეზი ყოფილიყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოჭადრაკეთა უმრავლესობა „ყავისტოა“ ამქარს განეკუთვნება. ჩვენს გუნდშიცაა ყავის „ბორჯაძე“ მომხმარებელი — ნანა იოსელიანი. პირველ ტურში მისი უთამაშებლობა პარტიის მსვლელობის დროს ყავის მიღება-არმიღების საკითხში გაურკვევლობამაც გამოიწვია. უფრო მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ღობინგზე სინჯები აღარ ჩატარდება, მაგრამ რეკომენდაციაც მიაყოლეს — საჭადრაკო დაფასთან ყავის სმისგან თავი შეიკავიო.

მესამე ტურისთვის ვაჟთა შორის ქულათა მაქსიმალური რაოდენობა — 8 — მხოლოდ უნგრელებმა დააკრვეს და ორშაბათს მათ მეტოქედ კომპიუტერულმა კენჭისყრამ რუსეთის ნაკრები შეახვედრა (7,5 ქულა ორ ტურში). მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა, განსაკუთრებით პირველ დაფაზე — ფიდეკვალის მსოფლიოს ჩემპიონ ხალფმანსა და ახალგაზრდა პეტერ ლეოს შორის. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი სომხების სიძეა, მედმედად გერმანიაში ცხოვრობს და, როგორც ამბობენ, მოჭადრაკეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სპონსორი ჰყავს.

ჩვენი ვაჟთა გუნდი ლიტველებთან სათამაშოდ პირველ სამ დაფაზე ძირითადი შემადგენლობით (ახმაიფარაშვილი, ვიორგაძე, სტურუა) წარსდგა. მეოთხე დაფაზე კი გუნდის მეექვსე ნომერი, ბააღურ ჯობაჯა გაამწესეს. პირველ დაფაზე შედარებით სწრაფი ყავის შემდეგ (ჩვენი გუნდი შავებით თამაშობდა, რაც ნიშნავს, რომ პირველ და მესამე დაფაზე თეთრებით მოწინააღმდეგე იყვნენ) სულ მალე გუნდს პირველი ქულა ბააღურმა მოუტანა. მან ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა მურკას — ორ პაიტან ერთად ფიგურაც მოიგო და, ცხადია, პარტიაც.

მაია ჩიხურდანიძემ მისთვის ჩვეულ აკადემიურ სტილში შანსი არ დაუტოვა ფანარა ბაბაევას (ახურბაიჯანი). სამწუხაროდ, ზურაბ სტურუამ პარტია დათმო სლავიკისთან, რასაც ვია გიორგაძის ყავი მოჰყვა საკუალასთან. „ჩემი თავისთვის ვერ მივატყებია, როგორ გავატანე ნახევარი ქულა. არადა, რთული გასათვლელიც არაფერი იყო“ — გაიმათავა და უკეთა კომენტარი პარტიას.

ამასობაში, თამაშის მეშვიდე საათზე, ქალთა გუნდის მე-2 და მე-3 დაფაზე ნანა იოსელიანსა და ნინო ხურციბის მედგარ წინააღმდეგობას კვლავაც უწევდნენ ელმობა ალიევა და მიეპრიბინ შუქუროვა. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც ბააღურ ჯობაჯა, სტამბოლში ესპანეთიდან ჩამოვიდა 18 წლის ასაკის ვოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდებით.

ნანას აშკარა უპირატესობა ჰქონდა და მის რეალიზაციას ცდილობდა. მალე აიძულა კიდევ მეტოქე დაენებებულყო.

მიწინევენ, რომ უდავოდ ნიჭიერი ნინო ხურციბის საჭადრაკო განათლებამ უმედარებით სუსტი ადგილი დაეკლავა. სამაგიეროდ, მას კარგად გამოსდის თამაში ყველაზე რთულ სტადიებში — მიტელშილისა და ენდშილში. ამჯერადაც, მან ჩვენს არ უღალატა და პარტიის საწყის ეტაპზე ვერავითარი უპირატესობა ვერ მიიღო. დრო გადიოდა, მართალია, დაფაზე მალე ბორჯაძემ სკამარის იყო, მაგრამ რისკს ერიდებოდნენ, ერთი შეხედვით მოსაწყენი, მანევრული თამაში გრძელდებოდა. „ყავისტოა, მოგებაზე თამაში უაზროა“ — ჩვენი გუნდის რამდენიმე წევრმა ასე შეაფასა პოზიცია, ხოლო როცა ნანა იოსელიანმა თავისი პარტია მოიგო, გუნდის კაპიტანი და ვიწრო გუნდი ურჩიეს — ნინო ხურციბის, ფიჩიკურ და გონებრივ ენერჯიას შედეგად ხარჯავს, წინ კიდევ მრავალი ტურია და ყავი მზე შეუთანხმდეს.

დავითმა ყველაფერი ეს მოისმინა, მაგრამ პარტიის მსვლელობაში არ ჩარეულა. მაგიდასთან აშკარად ნერვების ბროლია მიიღო — ვინ ვის. შედეგად კი შედარებით გამოცდილი ნინო ხურციბი, აიძულებინა მეტოქე, შეცვლად დაეშვა.

შემდეგ და თითქმის შედისათვის ბროლის შემდეგ ჩვენი გუნდს მესამე ქულა შესძინა. უკვე ითქვა — წინა ტურშიც გუნდი დამარცხებისგან მან ისინა — მაშინაც მოგება ბევრს საეჭვოდ მიანდა.

ნინომ მშვიდად მოაწერა ხელი პარტიის ჩანაწერს, აუჩქარებლად ჩააწყო ნოთები ჩანთაში, ქუთუთი მისხდა (დარბაზში გარდერობი არ არის და ზედა ტანსაცმელი ყველას თან დაატეხს) და მხოლოდ ამის შემდეგ გადააგლო დიმილით დარბაზს თვალის, თითოს ეუბნებოდა — აი, ზომ მოვიგეო.

ყველა მოჭადრაკეს მოგებული პარტიის შემდეგ ჭადრაკთან და სათამაშო მაგიდასთან გამოთხოვების თავისებური მანერა აქვს. ნაკლებად შეხედვით, რომ რომელიმე მათგანს დიმილი დასამამაშებდეს სახეზე. ეს გასაგებია. ნინო კი ყოველთვის დიმილიანია. ზომ გასწოვთ ლევ ტოლსტოის, ჭადრაკის დიდი ტრფიალის სიტყვები: „ეს სასაცილოა, მაგრამ არ შემიძლია, შევიკავო დიმილი, როცა ვიგებ“.

მას ასე, პირველი სამი ტურის შემდეგ ვაქვებს 8 ქულა დაუგროვდათ (23-28 ადგილები). როგორც კი 7,5 (მე-3-4 შედეგი), რაც იმას ნიშნავს, რომ ტურნირის ამ მონაკვეთში ელისტის გარეშე (1998 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის) ვაყვები ნახევარი ქულით ჩამორჩებიან, ქალები კი მიუღიამა სამი ქულით უსწრებენ.

მათჩი უკვე იმ ფაზაშია, როცა თამამდ ითქმის, რომ ერთ მხარეს მხოლოდ სასწაული იხსნის. გარი კასპაროვი სიცოცხლის ნიშანწყალს პრაქტიკულად არ ამჟღავნებს და საკმარისია, ვლადიმერ კრამნიკმა დარჩენილ სამ პარტიაში თუნდაც ორი ყავი გაახერხოს, რომ მსოფლიოს სპორტული პრესის თავფურცლები ხმარობან სათაურებით ატრულდება. შაბათ-კვირას პრეტენდენტმა კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა, როცა მე-12 და მე-13 პარტიაში მეტოქეს ზავით დაშორდა. შაბათს კრამნიკი თეთრებით თამაშობდა ნიჭიერის სისტემაში დებიუტი მინიმალური უპირატესობით დატოვა. შემდეგ ერთხანს ორივე მხარემ ზუსტად ითამაშა და ამაში კრამნიკის ეტლის არასტანდარტული ფლანგური მოძრაობაც იგულისხმება, რის მსგავსაც იგი სხვა პარტიაშიც ხშირად აკეთებდა და უმართლებდა კიდევ ამჯერად თეთრი ეტლი მეოთხე პრიზორტალზე ავიდა და ფიგურებით დახუნძლულ დაფაზე მეფის ფრთისკენ გასწავა. შემდეგ კრამნიკი 21-ე სვლაზე 40 წუთს ფიქრობდა, 23-ეზე შეცდა და კასპაროვმა სუფთა პაიკი ზომ დაიტოვა, ინიციატივაც მერადა იყრო. მერე მოვიდა მისი უდიდებულესობა ცაიტინგი და მხარეებმა შეცდომებს უხშირეს (უფრო მეტად კასპაროვმა), რასაც საყაიმო პოზიცია მოჰყვა და ისიც 33-ე სვლაზე დაიგრამაზე ასახულ პოზიციაში გაფორმდა.

მე-13 პარტია აშკარად საკვანძო უნდა გამხდარიყო. თეთრებით მოთამაშე კასპაროვს ყველაფრის სასწორზე შეგდება მართებდა, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი: კრამნიკმა ერთხელაც ესპანური დაცვის ბერლინის

მათჩი მსოფლიოს საჭადრაკო საჭაპონ ჩემპიონის ტიტულია

საპრიზო 2 მილიონი \$

LONDON 2000

XII პარტია

კასპაროვი vs კრამნიკი

5,5 7,5

კასპაროვს მორფივ პარტია

სისტემა გამოიყენა, რომლისაც მეტად მაღლობლი უნდა იყოს და ისე მოქნილად განალაგა ფიგურები, თეთრებით შეტვის ნებისმიერი მცდელობა მხოლოდ მათთვისვე ჩანდა სახიანო. მე-14 სვლაზე კასპაროვმა მეტოქეს ყავი თავად შესთავაზა.

დარჩა სამი პარტია, მათგან ორში თეთრებით კრამნიკი თამაშობდა. შეიძლება კასპაროვს შემობრუნების იმედი ჰქონდეს? ალბათ, ნაკლებად. მე-19 საუკუნეში პოლ მორფი ვაზანკზე წავიდოდა და მოიგებდა კიდევ ოცდაათი წლის წინ რობერტ ფიშერსაც იქნებ მოგვო და 95-შიც ზომ თავად კასპაროვმა ვიცივნა ჩამორჩენის აღმოფხვრის მაგალითი აჩვენა მატჩისას. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ისტორიაა, ხოლო კომპიუტერებით გაჯერებულ დღევანდელ ჭადრაკში სასწაული ათასიდან ერთხელ თუ ხდება. კასპაროვი მატჩის ფინალში მანაც აშკარად დადლილი ჩანს და ესეც ერთი საბუთია საიმისოდ, რომ კრამნიკის გაჩემპიონება უფრო ვერწმუნო.

მათჩი უკვე იმ ფაზაშია, როცა თამამდ ითქმის, რომ ერთ მხარეს მხოლოდ სასწაული იხსნის. გარი კასპაროვი სიცოცხლის ნიშანწყალს პრაქტიკულად არ ამჟღავნებს და საკმარისია, ვლადიმერ კრამნიკმა დარჩენილ სამ პარტიაში თუნდაც ორი ყავი გაახერხოს, რომ მსოფლიოს სპორტული პრესის თავფურცლები ხმარობან სათაურებით ატრულდება. შაბათ-კვირას პრეტენდენტმა კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა, როცა მე-12 და მე-13 პარტიაში მეტოქეს ზავით დაშორდა. შაბათს კრამნიკი თეთრებით თამაშობდა ნიჭიერის სისტემაში დებიუტი მინიმალური უპირატესობით დატოვა. შემდეგ ერთხანს ორივე მხარემ ზუსტად ითამაშა და ამაში კრამნიკის ეტლის არასტანდარტული ფლანგური მოძრაობაც იგულისხმება, რის მსგავსაც იგი სხვა პარტიაშიც ხშირად აკეთებდა და უმართლებდა კიდევ ამჯერად თეთრი ეტლი მეოთხე პრიზორტალზე ავიდა და ფიგურებით დახუნძლულ დაფაზე მეფის ფრთისკენ გასწავა. შემდეგ კრამნიკი 21-ე სვლაზე 40 წუთს ფიქრობდა, 23-ეზე შეცდა და კასპაროვმა სუფთა პაიკი ზომ დაიტოვა, ინიციატივაც მერადა იყრო. მერე მოვიდა მისი უდიდებულესობა ცაიტინგი და მხარეებმა შეცდომებს უხშირეს (უფრო მეტად კასპაროვმა), რასაც საყაიმო პოზიცია მოჰყვა და ისიც 33-ე სვლაზე დაიგრამაზე ასახულ პოზიციაში გაფორმდა.

მე-13 პარტია აშკარად საკვანძო უნდა გამხდარიყო. თეთრებით მოთამაშე კასპაროვს ყველაფრის სასწორზე შეგდება მართებდა, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი: კრამნიკმა ერთხელაც ესპანური დაცვის ბერლინის



პარასკევის

ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ ლილში მიმდინარე სამართლო პროცესზე ექსპერტთა და დოქტორთა მონაწილეობის ხარისხი უაღრესად მაღალია. მათმა ჩვენებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ველოსპორტიზმი ზოგიერთი შედეგი ზედადამართულია და მისი ჩვენება არავის შეუძლია ღობინგის დაუხმარებლად.

„ფესტინას“ ყოფილი მწვრთნელის ანტუან ვეიერის თქმით, ბევრ სპორტსმენს მასტიმულაციები საშუალებების გარეშე მიღწეულ წარმატებათა ნახევარიც არ ექნებოდა. „დარწმუნებით შემიძლია ვამტკიცო, რომ 1999 წლის „ტურ დე ფრანსზე“ გამარჯვებული ლენს არმსტრონგი ღობინგს იღებდა. ინდივიდუალური რბოლისას მან ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ისეთი სიჩქარით იქროლა, რაც თეორიულადაც კი შეუძლებელია ჩვეულებრივი, თუნდაც საუკეთესოდ მომზადებული ადამიანისთვის. იმავე წელს ოტაკამის მთაზე, რომელიც ერთ-ერთი ეტაპის ბოლოა იყო, არმსტრონგს მწვერვალზე უფრო მეტი სიმძლავრე ჰქონდა, ვიდრე აღმართის დასაწყისში. დასკვნის გაკეთება ძელი არაა“ — განაცხადა ვეიერმა და იქვე ღობინგში მხილებული ესპანელი მართონელების მაგალითიც მოიყვანა. პირინეული მორბენლები თურმე დისტანციებზე ნელ-ნელა უფრო მძლავრად გარბობდნენ, ვიდრე დასაწყისში და მაშინ ეგვიტის რბოლებიც შემდეგ დადასტურდა, სწორედ ამას გამოუწვევია.

რიშარ ვირანკის ადვოკატმა ვენსან სპედერმა იმაზე გაამაგიტა ყურადღება, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე, „ტურის“ გამარჯვებულთაგან ერთადერთი იტალიელი მარკო პანტანი იყო სუფთა მთიელი, დანარჩენები კი (მიგელ ინდურაინი, ბიანკო რიხი, იან

მონაგვი პარკონსალაზა ნაილო


ულრიხი, ლენს არმსტრონგი), ანუ ინდივიდუალისტები მთიელებზე უფრო მძიმეები იყვნენ. „და ისინი მთის ეტაპებს იგებდნენ, თანაც მეტოქეებს რამდენიმე წუთით მაინც ჯობდნენ. განა ეს ნორმალურია?“ — რიტორიკულად იკითხა სპედერმა. თავისი განცვიფრება ვეიერმა არ დაფარა და სასამართლო დარბაზში უცნუნურო სიტყვის თქმასაც არ მოიხდებია: „გასაკვირია, სქელტრაკები მწვერვლებზე პირველები როგორ ადიოდნენ“.

„და რატომღა უნდა დავინტერესდე ველოსპორტით? ტურნირთა ბედი ღობინგის გარეშე აღარ წყდება. რეალურად კი ვინ რისი შემძლეა, არ ჩანს. მაგალითად, „ტურის“ პირველი ოცეულის შედეგები განა რამის მთქმელია?“ — პროცესის წამართველი მოსამართლე დანიელ დედეგოვი ახალაზნალი აღმოჩენებით გაოცებულია.

არადა, მართალია ბატონი დედეგოვი, რადგან ღობინგი მხოლოდ „ფესტინაში“ არ ყოფილა ფესგადგმული, იგი მთლიანად ველოსპორტის შავი ჭირი აღმოჩნდა. შეიძლება ფრანგულ-ანდორული გუნდი პირველი მერცხალი იყო ღობინგის ორგანიზებულ მიღებაში, მაგრამ ის ერთადერთი ნამდვილად არაა. ისე, გუნდების უმრავლესობა თავიანთ მრბოლებს აკმაღლებული პრეპარატების მიღებაში სრულ თავისუფლებას აძლევდა, დანარჩენები კი ექიმის ზედამხედველობის ქვეშ იწყობდნენ.

თუმცა ეპო მხოლოდ ველოსპორტის სენი არაა ერთ-ერთმა ექსპერტმა, პროფესორმა მიშელ ოლრანმა აღნიშნა, რომ ღობინგის ეს სახეობა 80-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა და მისი პირველი მომხმარებლები მოთხილაპურები იყვნენ.

„ფესტინა“ სხვა გუნდებთან შედა-



რიშარ ვირანკმა ლილის სასამართლოს კარი იატალაბა

რებით ერთ-ერთ ყველაზე კეთილსინდისიერი ყოფილა. ექიმი რიხიკარტი მრბოლთა ჯანმრთელობაზე მათი გუნდში ყოფნისას მაინც ზრუნავდა და ღობინგით გამოწვეულ უკუეფექტებს მკურნალობდა. ამის გამო ამ გუნდში გადასვლა თითქმის ყველას სურდა, თუმცა კარიერის დამთავრების შემდეგ მათ რა მოუვიდოდათ, აღარავის ანადგლებდა.

უქმებზე შესვენების შემდეგ პროცესი ორშაბათს განახლდა, მაგრამ მის ნორმალურად მიმდინარეობას ინგლისში ამოვარდნილმა ქარიშხალმა შეუშალა ხელი. ლილში ორშაბათს ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (ვსკ) პრეზიდენტი, პოლანდელი პენ ვერბრიუგენი უნდა დაეკითხათ, როგორც მოწმე, მაგრამ იგი შაბათ-კვირას მანჩესტერში ყოფილა ველოტრე-

კის მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრებად და უამინდობის გამო კონტინენტზე დროულად ვეღარ დაბრუნდა. ამიტომაც ორშაბათს მოსამართლე დედეგოვმა მხოლოდ შუადღემდე იმუშავა და მერე შესვენება გამოაცხადა სამშაბათამდე.

პროცესის მეექვსე დღე თითქმის მთლიანად „ფესტინას“ ყოფილი სპორტულ დირექტორს ბრუნო რუსელის დელოში. „ის სუფთა კაცია. ამას მისი აზრები და ქმედებები მაფიქრებინებს“ — განაცხადა ქალბატონმა ანის პიერემ, რომელიც აწ გაუქმებული გუნდის, „ჰელვეციას“ მენეჯერი იყო და რუსელი იქ სპორტული დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე დანიშნა.

„ჰელვეცია“ უღობინგო ველორბოლის მომხრე და მიმდევარი იყო, რის გამოც დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია. „სწორედ ჩვენს პრინციპებს რომ იზიარებდა, იმითომ ავიყვანეთ ბრუნო რუსელი“ — თქვა მადამ პიერემ. „ჰელვეციას“ გაუქმების შემდეგ რუსელი „ფესტინაში“ გადამარგდა და იქაც უღობინგო მთიანობა საქმის კეთება. ამას ადასტურებს ექიმი-დებოლოგი დენი რიშე, რომელიც დასახმარებლად მიუწვევია რუსელს. რიშე „ფესტინაში“ 1993-97 წლებში მუშაობდა და სპორტსმენების შედეგების გაუმჯობესებას სპეციალური კვების წყალობით ცდილობდა, თუმცა... „სქელტრაკებიც მჯობნიან. ამას ვერ ავიტან“ — უყვირა ერთხელ ლორან დიუფოს და ეპო მოულოვანია, რასაც თურმე არც მანამდე იკლებდა. „რუსელმა 1994 წლის მთაში მაცნობა, რომ მრბოლები ღობინგს იღებდნენ. შოკში ჩავვარდი. თუმცა მუშაობა ჩვეულებრივ განვაგრძე“ — განაცხადა რიშემ.

მისი საქმიანობა კი თურმე თანდათან ნერვებს უშლიდა მრბოლებს და მათაც რუსელი აიძულეს, რიშე გაეშვა. „ფესტინაში“ რიკიკარტის მეთოდმა გაიმარჯვა...

BAIROU TALAABADI



REUTERS ბუენოს აირესიდან

გუზინ დიბოს დღეობა იყო

40 წლის ხარ და შენი ტყვეა წამლის ბარივის ზმანება ავი. რიგში ჩამსხდარან შვილები — დალმა და ჯანინა, ცოლი კლაუდია და გიმდერიან: შენ ერთადერთი... (მთელი მსოფლიოს ბანებს ვთხოვთ აყვინ)



ბრიტანული გიგანტი

REUTERS ტოკიოდან

მუჰამედიანობა გუზინგტონში

ალბი, ბაბაია, ნამეტანი კაი მოკრივე იყო. ვისაც ფერთხავდა, ძლინოს გაადენიებდა. შაი ფერთხვა კიდო სულ მარჯვენა კაცს (ფოტოზე), ანჯელთ დანდის უსტავლებია. ცოლიც იმფერი ყოლია აღის, ფერ-ხორცით არ დეიწუნება, ლონი ნარქმევა. შოდა, აბა, კლინტონს აწი საქმე აღარა აქვს, პრეზიდენტი შაი აღარ იქნება და არაფერი და, დოურიგება რაცხა ჯილდო, „ამერიკა ერთადერთია“ და დამთვრალან.

REUTERS ვაშინგტონიდან



უიზვიათასი ნაკოს ხიბლი

ნაბო ტაკაპაშიმდე მძლეოსნობაში თლიმპური თქრო იაბონელ ქალთავან არავის მოუბოგებია და ამიტომაც იქცა მარათონელი ერთგულ გმირად. გმირს კი უმაღლესი ჯილდო ერგება — პრემიერმა იოშირო მორიმი „სახალხო პატივის“ უიშვიათესი თრდენი გადასცა.

ვისია, ვისია...

სიღნის ბოტანიკურ ბაღში იქორწინეს ინგლისელ ინვალიდ მორავებთა ნაკრების კაპიტანმა ბობ თუეამ და მისმა სატრფომ, მშვენიერმა სარა ვრიგვსმა. ქორწილს მათი პირმშო, რებეკაც დაესწრო.



REUTERS ბუქარესტიდან


კაქთაიში

1960 წლის წინ გეორგ ჰაჯი რუმინეთის ერთგულ გუნდში გამოიძახეს. ათი წლის წინ კაპიტანი გახდა. ორი დღის წინ რუმინეთის პრეზიდენტმა, ემილ კონსტანტინესკუმ ერთგული სამსახურისთვის დაწესებული თრდენი გადასცა.

ხელი მოაკიდებინეს

ამ ფოტოს მთავარი ფიგურა 140 ათას დოლარად ღირებული „მერსედეს ბენცია“. იგი შტუტგარტში დგას და პატრონს ელოდება, ხოლო პატრონი შესაძლოა ეს კაცი გახდეს — ავსტრალიელი ჩოგბურთელი მარკ ფილიპუსისი, თუმცა ამისთვის მან მასტერსის სერიის შტუტგარტის ტურნირზე უნდა გაიმარჯვოს. ერთი სიტყვით, პრეტენდენტი ბევრია და მათ სპონსორებმა, ჯერჯერობით, ჯილდოსთვის მხოლოდ ხელი მოაკიდებინეს.

REUTERS შტუტგარტიდან



REUTERS ბონნიდან

სარბიელი
საორტული გაზეთი
გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამზაბათს,
ოთხზაბათს, ხუთზაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳონცხვერია
დირექტორი გიორგი ოპროგაძე
რედაქტორი თამაზ მიზრიაული
ფუნქტორის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მიკველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
კლათურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფუნქტორის რედაქტორი ვახტანგ ბუიკაძე, სოლომონ გულისა-
შვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, კობა ინასარიძე,
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქრობირიძე,
ინფორმაციის რედაქტორი ვია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, და-

ვით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კლათურთის რედაქტორი ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღენაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზვავის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge